

# ქართული სამართლის ჟურნალი

ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის პერიოდული გამოცემა

გამოცემა **1** 2017  
ნომერი 1







ქართულ-ნორვეგიული  
კანონის უზენაესობის ასოციაციის  
პერიოდული გამოცემა

# ქართული სამართლის ჟურნალი

გამოცემა **1** 2017  
ნომერი **1**

## ჟურნალის მიზნები

ქართულ და ევროპულ იურიდიულ წრეებს შორის დი-  
ალოგის და საქართველოს ევროპული მისწრაფებების  
ხელშეწყობა კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებ-  
სა და დემოკრატიამზე, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე,  
სამართლებრივი კულტურის და განათლების ევროპე-  
იზაციაზე, და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავ-  
შირის სამართალთან დაახლოვებაზე მნიშვნელოვანი  
სამართლებრივი სიახლეების საექსპერტო მიმოხილვის  
უზრუნველყოფის გზით.

## EDITORIAL BOARD

თეიმურაზ ანთელაძე ადმინისტრაციული რედაქტორი

თომას ფრობერგი ადმინისტრაციული რედაქტორი

ანა დოლიძე

ბიორგი ბიორგაძე

ანდრეს ლოვლი

რუნარ თორბერსენი

სტილისტური რედაქტორები  
ნიკო ძიძიგული, ფილიპპ კონა, ჯოზეფ ლარსენი

თარგმანი  
ნიკო აბრამიშვილი

ყდის და ჟურნალის დიზაინი  
ბენიკ დანელია, IBDesign

**წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი  
განდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს  
ფინანსური მხარდაჭერით.**

წინამდებარე პუბლიკაციაში არსებული ინფორმაცია და მოსაზ-  
რებები ეკუთვნით ავტორებს და არ წარმოადგენს ნორვეგიის სა-  
გარეო საქმეთა სამინისტროს ან ქართულ-ნორვეგიული კანონის  
უზენაესობის ასოციაციის ოფიციალურ პოზიციას.

წინამდებარე პუბლიკაციაში არსებული მასალის გამოყენება შესაძ-  
ლებელია წყაროზე სათანადო მითითების გაკეთების შემთხვევაში.

ISSN 2587-4594



## ვახუშტი მინაბაძე

**7** საქართველოს  
კონსტიტუციის  
ძესამე დუნდამენტური  
გადასინჯვა

## ბიორგი სვანაძე

**19** ევროკავშირის წევრ  
სახელმწიფოებსა და  
საქართველოს შორის სა-  
მოქალაქო და კომერციული  
საკითხებზე სასამართლო  
ურთიერთთანამშრომლო-  
ბის პერსპექტივები

## ვახტანგ ბიორგაძე

**32** შეუძლია თუ არა  
საქართველოს გახდეს  
საერთაშორისო  
კომერციული დავების  
გადაწყვეტის რეგიონული  
ცენტრი?

## თეო კვირიკიშვილი

**46** კორუფციასთან დაკავ-  
შირებული მაგალითები  
საერთაშორისო არბიტ-  
რაჟში: საარბიტრაჟო  
ტრიბუნალის გადაწყვე-  
ტილებების სასამართლო  
გადასინჯვის დასაშვები  
ფარგლები გაუქმებისა და  
აღსრულების ეტაპებზე

## თამარ დოლიძე

**62** ქუჩაში დადებული  
ხელშეკრულება ქართული  
და ევროპული სამართლის  
მიხედვით

ახალი ჟურნალის გამოცემა ისეთ გლობალურ გარემოში, სადაც სამეცნიერო პუბლიკაციების ზოგადი სიჭარბეა, თამამი ნაბიჯია. ამ ჟურნალის ინიციატორებმა მაინც გადავწყვიტეთ მისი გადადგმა. გვსურს მკითხველს განვუმართოთ ამის მიზეზები.

თავად სახელი, რომელიც შეირჩა ამ ჟურნალისთვის, მრავლისმეტყველია. იმ პირობებში, როდესაც ევროპაში სამეცნიერო პუბლიკაციების სიჭარბე სულ უფრო აიძულებს ახალი ჟურნალის გამოცემის მსურველებს, სტატიების ფოკუსირება ვიწრო თემატიკაზე მოახდინონ, ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა იმის გარკვევა, რომ ზოგადისაგან განსხვავებულ, ადგილობრივ ქართულ კონტექსტში, სამართლის ჟურნალისათვის ისეთი მიმზიდველი სახელწოდება, როგორიცაა „ქართული სამართლის ჟურნალი“ ჯერ კიდევ თავისუფალი იყო.

საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობს საერთო პროფილის სამართლის ჟურნალები. ამავე დროს, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია რაიმე ფორმით რეფერირებადი. ეს დამატებითი სტიმული აღმოჩნდა ჩვენი ინიციატივისათვის, რადგან მიგვაჩნია, რომ რეცენზირება უპირველესი და აუცილებელი წინაპირობაა სამეცნიერო გამოცემის ხარისხის კონტრო-

ლისათვის. ის ხელს უწყობს საკითხით დაინტერესებულ პირებს შორის სამეცნიერო არგუმენტებზე დაფუძნებულ დიალოგს და ამ მიმართულებით, საქართველოში, სამართლის სფეროში, ჩვენ ვხედავთ გაუმჯობესების საჭიროებას. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ანონიმურად რეცენზირებად ჟურნალში სამართლებრივად აქტუალურ საკითხზე საქართველოში, პუბლიკაციის გამოქვეყნება თითქმის შეუძლებელია. ამავე დროს, ამგვარი შესაძლებლობის არსებობა, - სამართალზე, როგორც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედზე სამეცნიერო დისკუსიის აუცილებელი ნაწილია. მისი შექმნით, იმედი გვაქვს ხელს შევუწყობთ ამგვარ დისკუსიას და შესაბამისად, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ საქართველოში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის გაძლიერებაში.

ჩვენი ინიციატივა ვერ განხორციელდებოდა ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის ძალისხმევითა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ამ მხარდაჭერით ნორვეგია აგრძელებს მსოფლიოში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ხელშეწყობას და როგორც ყოველთვის, ამას ხმამაღალი მადლობის მოთხვნის გარეშე აკეთებს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული სიამოვნებით გამოვხატავთ ჩვენ მადლიერებას ასეთი მხარდაჭერისათვის.

ნორვეგიის როლი ამ ჟურნალის გამოცემაში ფინანსური თანადგომით არ შემოიფარგლება. ჩვენი სარედაქციო საბჭოს ნახევარს ნორვეგიელი იურისტები შეადგენენ. მათ მდიდარი გამოცდილება აქვთ, როგორც პრაქტიკული ისე აკადემიური მიმართულებით. ერთი შეხედვით, ქართული და ნორვეგიული სამართლებრივი კულტურა შესაძლოა ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულად წარმოვიდგინოთ, რომ ვერ დავინახოთ ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარებაში ნორვეგიელი იურისტების ადგილი. ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენ სულ სხვა იმედები გვაქვს. მეტოდოლოგიური თვალსაზრისით, ქართული სამართლებრივი კულტურა და იურიდიული განათლება მთლიანობაში, ისევ მყარად ეფუძნება უალრესად ფორმალისტურ, ჰარტის წინანდელ პოზიტივიზმს. საქართველოსგან განსხვავებით, ნორვეგია, როგორც სკანდინავიის ერთ-ერთი ქვეყანა, სამართლის უფრო სოციოლოგიურ საფუძველზე დამყარების იმ სათავეებთან იდგა, რასაც შემდგომში, სკანდინავიური სამართლებრივი რეალიზმი ეწოდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ჟურნალის

სარედაქციო პოლიტიკის წარმართვა ნორვეგიელ იურისტებთან ერთად გააძლიერებს მის წვლილს საქართველოში სამართლებრივ საკითხებზე სამეცნიერო დისკუსიის გამრავალფეროვნებაში.

პირველ ნომერში გამოსაქვეყნებელი სტატიების შერჩევას, ძალისხმევის მაქსიმუმი გავიღეთ, რათა დაგვეცვა ბალანსი მიღებული ნაწერების რაოდენობასა და ხარისხზე, ასევე ნაწერებში განხილული საკითხების თემატურ მრავალფეროვნებას შორის. გარდა ამისა, ჩვენი საბოლოო არჩევანი ეფუძნება გამოცემისათვის ზოგადი პროფილის სამართლის ჟურნალის იმიჯის გამყარებას და მასში განხილული საკითხების ჩვენს ღირებულებებთან თანხვედრას, როგორც ეს ჟურნალის მიზნებშია აღწერილი.



თავის სტატიაში, ვახუშტი მენაბდე გვთავაზობს საქართველოს კონსტიტუციის მიმდინარე ფუნდამენტური გადასინჯვის ზოგად, მაგრამ ამავე დროს, საინტერესო მიმოხილვას. მედიაში ამ პროცესის გაშუქება მას ხშირად უამრავი წინას მსგავს, მორიგ გადასინჯვად წარმოაჩენს. ეს გარკვეულწილად ეხმიანება ამავე პროცესის საზოგადოების ნაწილში არსებულ აღქმას, რომლის თანახმადაც, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსული ყოველი პოლიტიკური გაერთიანება კონსტიტუციას ისე ცვლის, როგორც ხელს აძლევს. ამავე დროს, კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე, მისი გადასინჯვის პოლიტიკურ დღის წესრიგში ყოფნის სიხშირე და პერიოდულობა, მიუთითებს, რომ საქართველოში სახელმწიფო მოწყობის, როგორც საზოგადოებრივი თანაცხოვრების ორგანიზებული ფორმის ძირეულ საკითხებზე, ამავე საზოგადოების კონსენსუსი მიღწეულისგან ჯერ კიდევ შორსაა. სწორედ ეს ხდის კონსტიტუციის გადასინჯვის ამჟამად მიმდინარე პროცესს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს. ვიმედოვნებთ, რომ ამ პროცესის უკვე დასრულებული ნაწილის შემოთავაზებული მიმოხილვა საინტერესო წასაკითხი იქნება.

გიორგი სვანაძის სტატია ეხება გარკვეულ საკითხებში საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასამართლოებს შორის ურთიერთქმედების გაღრმავების პერსპექტივას. სტატიიდან ვგებულობთ, რომ ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის (HCCH) წევრობის მიუხედავად, საქართველო ჯერ კიდევ არ არის იმ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების მონაწილე, რომელიც ხელს შეუწყობდა ევროკავშირის წევრ

ქვეყნებთან სასამართლო დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერებას. ლაკონიური, მაგრამ ინფორმაციული სტატია აღწერს იმ პოტენციალს, რომელიც გააჩნია ამ თანამშრომლობის გაძლიერებას საქართველოში ტრანსნაციონალური კომერციული დავების გადაწყვეტის სანდოობის და მიმზიდველობის ასამაღლებლად. აქედან გამომდინარე, სტატია საბოლოოდ, წარმოადგენს შესანიშნავ გზამკვლევეს საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო პოტენციალის გასაძლიერებლად, რაც მიღწევადია უცხოელი სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორების თვალში იურიდიულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკების შემცირებით ევროკავშირის და სხვა ქვეყნებთან სასამართლო თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

საქართველოს ტრანსნაციონალური კომერციული დავების გადაწყვეტისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად გარდაქმნის თემა, არბიტრაჟის კონტექსტში, გრძელდება ვახტანგ გიორგაძის სტატიაში. ამ კუთხით საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვით, სტატიაში წარმოდგენილია წინადადებები არბიტრაჟის, როგორც სასამართლო დავის ალტერნატივის არჩევითობის გასაძლიერებლად და ამით საქართველოში კომერციული დავების გადაწყვეტის სისწრაფის, მოქნილობის და ბიზნესზე ორიენტირებულობის ასამაღლებლად. საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის კიდევ ერთი „ხიდის“ ნარატივის საარბიტრაჟო სფეროში განვრცობით, სტატიის ავტორის ძალისხმევა ამ მხრივაც დაფასებას იმსახურებს.

არბიტრაჟის სასარგებლოდ უფრო მოქნილი სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ მოსაზრება, რომელსაც ვახტანგ გიორგაძე სხვა საკითხებთან ერთად ავითარებს, სიფრთხილის აუცილებლობაზე მითითებითაა გაანალიზებული თეო კვირიკაშვილის სტატიაში. მასში განხილულია საარბიტრაჟო წარმოების დამოუკიდებლობასა და საჯარო პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებთან მის თავსებადობას შორის ბალანსის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო გადასინჯვის დასაშვებ ფარგლებთან დაკავშირებული საკითხები. სტატია მიმოიხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემღუდული და ფართო სასამართლო გადასინჯვის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტებს და ეხება ისეთ რთულ და ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს, როგორცაა ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება და უპირობოდ მინიმალურ სასამართლო გადასინჯვასთან დაკავშირებული კორუფციის რისკები.

ამ ნომრის დასასრულს, თამარ დიოგიძის სტატია ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე, ეხმიანება საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე მიმდინარე დისკუსიას. სტატია გამოყოფს კანონმდებლობის აშკარა ხარვეზებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ამ მიმართულებით. საკითხის შედარებით სამართლებრივ ტრილში გაანალიზებითა და მასთან დაკავშირებული ევროკავშირის სამართლისა და ზოგიერთი უცხო ქვეყნის შიდასამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვით, სტატიის ავტორი გვთავაზობს ამ ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. სტატიის უშუალო ღირებულების გარდა, რაც მასში განხილული საკითხის კარგ ანალიზშია, ის შეიძლება ასევე ღირებულ წყაროდ იქცეს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან ამ მიმართულებით დაახლოების პროცესში.



მთლიანობაში, ვიმედოვნებთ, რომ ეს ნომერი საინტერესო საკითხავი იქნება. სარედაქციო საბჭო კი, მზადაა განიხილოს მკითხველთა შენიშვნები და წინადადებები. მათი გამოგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [editors@georgianlawjournal.org](mailto:editors@georgianlawjournal.org).

*სარედაქციო საბჭოს სახელით,  
თეიმურაზ ანთელავა*



# საქართველოს კონსტიტუციის მესამე ფუნდამენტური გადასინჯვა

## 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციაში მიღებიდან დღემდე, 33-ჯერ შევიდა ცვლილება, მათგან ორით, 2004 და 2010 წლებში, კონსტიტუციური მოდელი არსებითად შეიცვალა,<sup>1</sup> თავდაპირველად საპრეზიდენტოდან ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელის საპრეზიდენტო-საპარლამენტო ქვეტიპისკენ, ხოლო შემდეგ ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელის პრემიერი-პრეზიდენტის ქვეტიპისკენ.<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი კანონი არასოდეს, არც მიღების დროს და არც რეფორმირების შემდეგ, არ ყოფილა თავისუფალი კონსტიტუციონალიზმის პრინციპებიდან ერეტიკული გადახრებისგან,

\* ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა.

<sup>1</sup> საქართველოში კონსტიტუციური მოდელების ცვლილების შესახებ შედარებით ვრცლად იხ.: Menabde v., (Head and Academic Editor), Papashvili T., Kashakashvili N., Kekenadze G., Berdize A., TWENTY YEARS WITHOUT PARLIAMENTARY OVERSIGHT. Oversight of the Ministry of Internal Affairs, the State Security Service and the Intelligence Service of Georgia by the Supreme Representative Body, Cezanne, Tbilisi, 2017, p. 24, [https://www.academia.edu/32218360/TWENTY\\_YEARS\\_WITHOUT\\_PARLIAMENTARY\\_OVERSIGHT](https://www.academia.edu/32218360/TWENTY_YEARS_WITHOUT_PARLIAMENTARY_OVERSIGHT), განახლებულია 03.04.2017.

<sup>2</sup> კლასიფიკაციისთვის იხ.: იქვე. გვ. 20-21.

თუმცა ხშირად, ეს არ იყო ის, რაც მასში ცვლილებების შეტანის სურვილს აღუძრავდა მმართველ ძალებს. ამის მიზეზები უფრო მეტად კონსტიტუციის ლეგიტიმაციის ნაკლებობაში უნდა ვეძიოთ.<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა ხმამაღალი ყოფილიყო 2010 წლის რეფორმის დოქტრინალური კრიტიკა, კონსტიტუციის მასშტაბური გადასინჯვის პროცესის წამოწყება მოქმედი კონსტიტუციის პოლიტიკური ლეგიტიმაციის ნაკლებობამ გახადა შესაძლებელი. ეს კარგად ჩანს მოქმედი ხელისუფლების დამოკიდებულებაში, სადაც ის წინა რეფორმას მაშინდელი პრეზიდენტის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების სურვილით ხსნის და ამით ცდილობს ხაზი გაუსვას მოქმედი მოდელის არალეგიტიმურობას.

საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, კონსტიტუციის შემუშავებას, მასშტაბურ გადასინჯვას ან ამის განზრახვას წინ უსწრებს საკონსტიტუციო კომისიის შექმნა, რომლის დანიშნულება ცვლილებების პროექტის მომზადებაში საზოგადოების წარმომადგენლობითი ჩართულობაა. გამონაკლისს წარმოადგენს 2004 წლის შემთხვევა, როდესაც რეფორმა ვარდების რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ გაატარა.<sup>4</sup>

დღეს მოქმედი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია რიგით მეოთხეა. იგი საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 15 დეკემბერს შექმნა საქართველოს პარლამენტმა<sup>5</sup> და მიზნად კონსტიტუციის გადასინჯვის იმგვარი კანონპროექტის მომზადება დაუსახა, რომელიც „უმრუნველყოფს კონსტიტუციის კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან სრულ შესაბამისობას და ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას.“<sup>6</sup> ამ დროისთვის კომისიამ საკუთარი სამუშაო დაასრულა და 22

<sup>3</sup> კონსტიტუციისთვის ლეგიტიმაციის საჭიროების შესახებ იხ.: მენაბდე ვ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უმრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას, სტატიების კრებული: სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე. საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ. 116-120, <http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/bibliography/supersaprezidentodan-saparlamentomde.pdf>, განახლებულია 03.04.2017.

<sup>4</sup> 2004 წლის რეფორმის პროცესის შეფასებისთვის იხ. მენაბდე ვ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უმრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას, გვ. 129-131.

<sup>5</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, ქუთაისი, 15 დეკემბერი, 2016 წ., N65-1ს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3472813>, შემოწმებულია 01.04.2017.

<sup>6</sup> იქვე. მუხლი 2.

აპრილს, 43 ხმით 8-ის წინააღმდეგ კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა. ამ პროექტს ინიცირება უმრავლესობამ პარლამენტში უკვე გაუკეთა. ამჟამად მიმდინარეობს საერთო სახალხო განხილვები, რომლის დასრულების შემდეგაც, ივნისში პროცესი საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლებს. წინამდებარე სტატია ამჟამინდელ დოკუმენტს შეეხება, რომელიც ცხადია, საბოლოო არ არის და საპარლამენტო განხილვებით შესაძლოა შეიცვალოს.

სტატიის მიზანია ზოგადად, მიმოიხილოს საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დაკომპლექტების, მისი მუშაობის ორგანიზაციული მხარე, მოკლედ აღწეროს ის პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც იწერება კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი, ასევე ყურადღება გაამახვილოს ნოვაციის უმთავრეს და ყველაზე პრინციპულ შინაარსობრივ ასპექტებზე.

სტატიის ავტორს წილად ხვდა პატივი იყოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი აკადემიური სფეროსთვის გამოყოფილი კვოტით. ამდენად წინამდებარე სტატიაში მოტანილი მოსაზრებები შიდა დამკვირვებლის და პროცესებში მონაწილის დასკვნებია. ერთი მხრივ, ეს უპირატესობა – იყო მოვლენების გულისგულში, გრძნობდე მის მაჯისცემას და შენთვის ცნობილი იყოს საქმის ყველა ასპექტი, რომელთა ამოკითხვა ფორმალურ დოკუმენტებში შეუძლებელია, მეორე მხრივ, შესაძლოა ნაკლადაც ჩაითვალოს, რადგან სტატიის ავტორის მიერ პროცესების აღქმას შესაძლოა აკლდეს დისტანცია, რაც მას დაეხმარებოდა მეცნიერის თვალთ, ყოველგვარი მინარევების გარეშე აღეწერა არსებული ვითარება.

## 2. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია

კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესის ლეგიტიმაციისთვის მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნა. ის თუ როგორ განვითარდებოდა პროცესები, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული კომისიის შემადგენლობაზე, მუშაობის გრაფიკსა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე. წინამდებარე თავი ამ თემებს მიმოიხილავს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განისაზღვრა კომისიის დაკომპლექტების წესი.<sup>7</sup> ამ დოკუმენტის მთავარი ხარვეზი იყო, რომ ღიად

<sup>7</sup> საქართველოს პარლამენტის დასახელებული დადგენილება, მუხლი 3.

ტოვებდა კომისიის წევრთა რაოდენობას. იგი დეტალურად ადგენდა კომისიაში პოლიტიკური პარტიებისა (როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო) და კონსტიტუციური ორგანოების კვოტირების წესს, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა საკითხს არ არეგულირებდა, რის შესახებაც გადაწყვეტილების მიღების დისკრეციას პარლამენტის თავმჯდომარეს უტოვებდა, რომლის გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიაში 73 პირი შევიდა:<sup>8</sup>

- საკანონმდებლო ორგანოდან მასში ყველაზე მეტი, 35 წევრი მოხვდა;
- იმ საარჩევნო სუბიექტებიდან, რომელთაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, მაგრამ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც – 4 წევრი;
- სხვადასხვა კონსტიტუციური ორგანოებიდან – 14 წევრი;
- არასამთავრობო ორგანიზაციებიდან – 7 წევრი;
- აკადემიური წრეებიდან – 13 წევრი.

მმართველი ძალა კომისიაში ფორმალურად 30 მანდატს<sup>9</sup> აკონტროლებდა და ამდენად, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო უმრავლესობა ჰქონდა. თუმცა, პირველივე სხდომებიდან ნათელი გახდა ერთი რამ: კომისია ისე იყო დაკომპლექტებული, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობას თანხვედრა ჰქონდა „ქართულ ოცნებასთან“,“ მისთვის ყველაზე პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით. აქ პირველ რიგში, იგულისხმება მმართველობის კლასიკური საპარლამენტო მოდელი, საარჩევნო სისტემა, საპარლამენტო უმცირესობების უფლებები და პრეზიდენტის არჩევის ირიბი წესი.

თემატურ საკითხებზე კონცენტრირების მიზნით, კომისია 4 სამუშაო ჯგუფად დაიყო.<sup>10</sup> 1. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბული-სა და ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა; 2. საქართველოს

<sup>8</sup> საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის #253/3 ბრძანება „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/brdzanebebi/253-3.page>, შემოწმებულია 18.05.2017.

<sup>9</sup> მოგვიანებით, კომისიის წევრთა შემადგენლობა 60-მდე შემცირდა, თუმცა ამ პირობებშიც ფორმალური უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა.

<sup>10</sup> საქართველოს პარლამენტის დასახელებული დადგენილება, მუხლი 8.

პარლამენტის, ფინანსებისა და კონტროლის და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხთა; 3. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და თავდაცვის საკითხთა; 4. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა ჯგუფი.

კომისიის თითოეული წევრი ვალდებული იყო მინიმუმ, ერთ სამუშაო ჯგუფში გაწევრიანებულიყო. თუმცა, თითოეულ მათგანს შეეძლო დამატებით კიდევ ერთგან რეგისტრაციის მოთხოვნა. გამონაკლისის სახით არასაპარლამენტო ოპოზიციას მიეცა უფლება ერთდროულად, ოთხივე ჯგუფში ყოფილიყო წარმოდგენილი.

საკანონმდებლო ორგანომ კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის სპიკერი დაასახელა, რომელმაც პირველი ვიცე-სპიკერი კომისიის მდივნად დანიშნა. აქამდე კომისიის და ყველა სამუშაო ჯგუფის სხდომას ქვეყნის მეორე პირი პირადად თავმჯდომარეობდა.

პარლამენტმა კომისიის მუშაობის ბოლო ვადად 30 აპრილი განსაზღვრა.<sup>11</sup> მიუხედავად ამისა, პარლამენტის თავმჯდომარემ პირველივე სხდომაზე განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში ვადის გადაწვევაც იყო შესაძლებელი. თუმცა, თავიდანვე ჩანდა, რომ კომისიის სამუშაო გეგმა და ტემპი ზუსტად იყო გაწერილი. საბოლოოდ, კომისიამ მუშაობა 22 აპრილს, კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებით დაასრულა. კენჭისყრის წინა დღეს, კომისიის თავმჯდომარემ პოლიტიკურად და სამართლებრივად სადავო გადაწყვეტილება მიიღო და 13 ოპოზიციონერს კომისიის წევრობა შეუწყვიტა.<sup>12</sup> საფუძვლად მათ მიერ კომისიის სხდომების ბოიკოტირება დასახელდა. 7-მა პოლიტიკურმა პარტიამ კომისიის მუშაობაში ჩართულობის გაგრძელებაზე პროტესტის ნიშნად უარი თქვა. მათი აზრით, შემოთავაზებული პროექტი მმართველი პარტიის ძალაუფლებას კიდევ უფრო აძლიერებდა.<sup>13</sup>

კომისიის სამუშაო ჯგუფების სხდომები სამ რაუნდად მიმდინარეობდა, თითოეულ რაუნდს თითო სამუშაო ჯგუფში ზოგჯერ რამდენიმე დღე სჭირ-

<sup>11</sup> საქართველოს პარლამენტის დასახელებული დადგენილება.

<sup>12</sup> საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის N146/3 ბრძანება „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის N253/3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/brdzanebebi/146-3.page>, შემოწმებულია 18.05.2017.

<sup>13</sup> ოპოზიციური პარტიები საკონსტიტუციო ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან და კომისიის ბოიკოტს უცხადებენ, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=31218>, შემოწმებულია 18.05.2017.

დებოდა, რადგან კომისია მუხლობრივად და დეტალურად განიხილავდა მის კომპეტენციაში არსებულ საკითხებს. პირველ რაუნდში სამუშაო ჯგუფებმა ზოგადად, პრინციპების დონეზე იმსჯელეს თითოეული წევრის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივებზე. ამ განხილვების გათვალისწინებით, კომისიის სამდივნოს მიერ მეორე რაუნდისთვის მომზადდა პირველადი დოკუმენტი, სადაც შეტანილი იყო პირველ რაუნდში განხილული იდეებიდან ყველაზე კონსენსუსუნარიანი ინიციატივები. თუმცა, ცხადია, ეს კომისიის წევრებს არ ართმევდა უფლებას თავიანთი იდეები, რომელიც დოკუმენტში არ იყო ასახული, კიდევ ერთხელ გამოეტანათ განსჯისათვის. როგორც აღინიშნა, მეორე რაუნდში უკვე არსებობდა კონკრეტული ფორმულირებები, რომელთა განხილვაც სამუშაო ჯგუფებში დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა.

მესამე რაუნდის წინ, პარლამენტის თავმჯდომარემ და მდივანმა შეხვედრები გამართეს არასამთავრობო სექტორთან, ბიზნეს სექტორის,<sup>14</sup> დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.<sup>15</sup> კომისიის წევრებთან შეხვედრები გამართეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა<sup>16</sup> და ვენეციის კომისიის დელეგაციებმა.<sup>17</sup> აქ გამოიკვეთა ის ძირეული საკითხები, რომელიც აისახება საბაზისო პროექტში, რაც სამუშაო ჯგუფების მესამე რაუნდის შეხვედრებზე უნდა დარიგდეს, სადაც კომისიის წევრებს მიეცემა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ დააფიქსირონ პოზიციები თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ აქ გაირკვევა ის საკითხები, რის შესახებაც კონსენსუსი შესაძლებელი გახდა ოთხთვიანი მუშაობის შემდეგ, ხოლო იმ თემებზე, რაც კონსენსუსის მიღმა დარჩება, კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას აპრილის ბოლოს, საკუთარ სხდომაზე კენჭისყრით მიიღებს.<sup>18</sup>

<sup>14</sup> ირაკლი კობახიძე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა, <http://constitution.parliament.ge/news-30-3/03>, განახლებულია: 03.04.2017.

<sup>15</sup> ირაკლი კობახიძე და თამარ ჩუგოშვილი დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და წარმომადგენლებს შეხვდნენ, <http://constitution.parliament.ge/news-30-5.03>, განახლებულია: 03.04.2017.

<sup>16</sup> პარლამენტის თავმჯდომარე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდა, <http://constitution.parliament.ge/news-28/03/17>, განახლებულია: 03.04.2017.

<sup>17</sup> ვენეციის კომისიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, <http://constitution.parliament.ge/news-30/03>, განახლებულია: 03.04.2017.

<sup>18</sup> საქართველოს პარლამენტის დასახელებული დადგენილება, მუხლი 9. კომისია გადაწყვეტილებას სრული შემადგენლობის ანუ 36 ხმით იღებს.

### 3. პოლიტიკური კონტექსტი

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას საქმიანობა წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ კონტექსტში უწევს. პროცესს თავიდანვე კრიტიკით შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი და ოპოზიციური პარტიები. წინამდებარე თავი სწორედ ამ თემებს მიმოიხილავს.

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და საპარლამენტო უმრავლესობა 116 დეპუტატით დააკომპლექტა. მანდატების ეს რაოდენობა საკმარისია საქართველოს კონსტიტუციის შესაცვლელად, რომელიც ამისთვის სრული შემადგენლობის 3/4-ს, 113 დეპუტატს მოითხოვს.<sup>19</sup> არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ცხადი გახდა, რომ მმართველი პარტია კონსტიტუციური რეფორმისთვის ამ ხელსაყრელ ვითარებას აუცილებლად გამოიყენებდა.

2016 წლის 19 ოქტომბერს, საკონსტიტუციო რეფორმის გატარების ინიციატივა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე გააუღერა.<sup>20</sup> საქართველოს პრეზიდენტი იმავე დღეს გამოეხმაურა მთავრობის თავმჯდომარის განცხადებას და საზოგადოებას კონკრეტული იდეა შესთავაზა. ეს იყო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც სამი თანათავმჯდომარე – პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის სპიკერი ეყოლებოდა.<sup>21</sup> თუმცა, იდეა უარყოფილ იქნა არგუმენტით, რომლის მიხედვითაც, „იურიდიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, ბევრად უფრო მიზანშეწონილია თუ პროექტით შემოთავაზებული ფორმატი ამოქმედდება.“<sup>22</sup> საბოლოოდ, ქვეყნის პირველმა პირმა საკონს-

<sup>19</sup> „კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანამიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა, სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.“ საქართველოს კონსტიტუცია, 102-ე მუხლის მე-3 პუნქტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>, განახლებულია: 03.04.2017.

<sup>20</sup> პრემიერის განცხადება საკონსტიტუციო უმრავლესობაზე, [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=434&info\\_id=58019](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=434&info_id=58019), განახლებულია: 02.04.2017.

<sup>21</sup> პრეზიდენტი მზადაა, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების მოსამზადებლად ჯგუფი შექმნას, <http://www.tabula.ge/ge/story/113574-prezidenti-mzadaa-konstituciashi-shesatani-cvilebebis-mosamzadeblad-jgufi-sheqmnas>, განახლებულია: 02.04.2017.

<sup>22</sup> იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ირაკლი კობახიძის საკანონმდებლო ინიციატივა განიხილეს, <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebijuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/iuridiul-sakitxta-komitetis-xdomaze-irakli-kobaxidzis-sakanonmdablo-iniciativa-ganixiles.page>, განახლებულია: 02.04.2017.



ტიტუციო კომისიის მუშაობაში ჩართვაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, კომისია დღემდე სამი წევრის (პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, უშიშროების საბჭოს მდივანი) გარეშე მუშაობს.<sup>23</sup> სულ ცოტა ხნის წინათ კი, სახელმწიფოს მეთაურმა 2017 წლის 10 მარტს, კამპანია სახელწოდებით, „კონსტიტუცია ყველასია“ დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციის რეფორმის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.<sup>24</sup> მის ამ ნაბიჯს პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოყვა, მან პრეზიდენტი ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გატარებასა და კონსტიტუციური ინსტიტუტების უპატივცემულობაში დაადანაშაულა.<sup>25</sup> ამის მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილის მიერ დაანონსებული პროცესი დაიძრა და მისი ეგიდით შეხვედრები საქართველოს რეგიონებში იმართება.

კიდევ ერთი კრიტიკა, რომელიც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დაკომპლექტებას უკავშირდებოდა – ოპოზიციური პარტიების კვოტირება გახლდათ. დებულების მიხედვით, წარმომადგენლის ყოლის უფლება მიენიჭა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე იმ პარტიებისა და ბლოკების პირველ ნომერ პარტიებს, რომელთაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, მაგრამ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც.<sup>26</sup> ამ ფორმულის მიხედვით, კომისიის მიღმა დარჩა 13 კვალიფიციური პარტია, რასაც ოპოზიციური სპექტრის პროტესტი მოჰყვა, თუმცა, მას შედეგი არ გამოუღია. საბოლოოდ, საკონსტიტუციო კომისიაში 7 ოპოზიციური პარტიის 14 წარმომადგენელი მოხვდა.

საერთო უკმაყოფილება გამოიწვია კომისიის სამუშაო ვადამ, რომელიც 5 თვეზე ნაკლებით განისაზღვრა. კომისიის წევრებს ფაქტობრივად, ერთი თვე მიეცათ პირველადი პროექტების წარმოსადგენად.

---

<sup>23</sup> გიორგი აბაშიშვილი – პრეზიდენტი და პრეზიდენტის წარმომადგენლები საკონსტიტუციო კომისიაში მონაწილეობისაგან თავს შეიკავებენ, <https://www.president.gov.ge/ka-GE/administraciis-siakhleebi-aq/giorgi-abashishvili-prezidenti-daprezidentis-carm.aspx>, განახლებულია: 02.04.2017.

<sup>24</sup> საქართველოს პრეზიდენტმა კამპანია – „კონსტიტუცია ყველასია“ დაიწყო, <https://www.president.gov.ge/ka-GE/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidentma-kampania-konstitucia-yvela.aspx>, განახლებულია: 02.04.2017.

<sup>25</sup> <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/saqartvelos-parlamentis-tavmdjdomaris-irakli-kobaxidzis-gancxadeba.page>, განახლებულია: 02.04.2017.

<sup>26</sup> საქართველოს პარლამენტის დასახელებული დადგენილება, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.



როგორც აღმოჩნდა, კომისიის მუშაობას დასაწყისიდანვე თან ერთვოდა ოპონენტების კრიტიკა. ამ კრიტიკის გასანეიტრალებლად ხელისუფლებამ თავიდანვე დადო ერთი პირობა, რომელსაც ის დღემდე ცალსახად იმეორებს. პარლამენტის თავმჯდომარემ მუშაობის დასაწყისშივე მკაფიოდ განაცხადა, რომ უმრავლესობა არ მიიღებს არცერთ ისეთ ცვლილებას, რომელიც ვენეციის კომისიის დასკვნით უარყოფითად იქნება შეფასებული.<sup>27</sup> ხელისუფლება ამ განცხადებით, შიდა კრიტიკის დაბალანსებას ცდილობს და შიდა დისკუსიებში არგუმენტების მოხმობის გარდა, ცვლილებების ლეგიტიმაციის გარე წყაროებს ეძებს.

კონსტიტუციის რეფორმის მიმართულებით ნაბიჯების თანმიმდევრობა ასეა განსაზღვრული: საკონსტიტუციო კომისიის მიერ პროექტის საბოლოო ვერსიის დამტკიცების შემდეგ, ეს უკანასკნელი ერთთვიან საერთო-სახალხო განხილვაზე გავიდა და ვენეციის კომისიასთან გაიგზავნა. ივნისის დასაწყისში ცნობილი გახდება პირველის შედეგები, ხოლო შუა რიცხვებში, უკვე ვენეციის კომისიის დასკვნის საბოლოო ვარიანტი იარსებებს. ამავე თვის ბოლოს, კონსტიტუციის პროექტი პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით დამტკიცდება, ხოლო საბოლოო კენჭისყრა აქედან სამ თვეში, საშემოდგომო სესიაზე მოხდება.

## 4. კონსტიტუციური რეფორმის პერსპექტივები

კომისიის პირველივე სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კონსტიტუციური საკითხებიდან ერთადერთი, რაზეც მმართველი უმრავლესობა იმ ეტაპისთვის იყო ჩამოყალიბებული – მმართველობის ფორმა – კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა გახლდათ.<sup>28</sup> ეს ნიშნავდა, რომ „ქართული ოცნება“ კომისიისგან მოითხოვდა იმგვარი ცვლილებების შემუშავებას, რომელიც ამ მიმართულებიდან არ გადაუხვევდა. ცხადია, ეს არ გამორიცხავდა კომისიის მხრიდან რაიმე სხვაგვარ ბალანსზე შეჯერებას, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ ამ მიმართულებიდან

<sup>27</sup> ირაკლი კობახიძისა და ვენეციის კომისიის პრეზიდენტის, ჯანი ბუკიკიოს ერთობლივი განცხადება პრესისთვის, <https://www.youtube.com/watch?v=9mwieyEWRgA>, განახლებულია: 03.04.2017.

<sup>28</sup> ირაკლი კობახიძე: საპარლამენტო მმართველობა არ შეიცვლება, <http://itv.ge/ge/news/view/145591.html>, განახლებულია: 03.04.2017.

განსხვავებულ პროექტს პერსპექტივა არ ექნებოდა. თუმცა, ეს საკმაოდ ზოგადი მითითება გახლდათ. როგორც შემდეგში აღმოჩნდა კომისიის წევრებს ერთმანეთის მსგავსად არ ესმოდათ ამ კონცეფციის მნიშვნელობა, ისინი ვერც მოქმედი მოდელის შეფასებისას თანხმდებოდნენ, – ერთ ნაწილი მას საპარლამენტოდ, ხოლო მეორე, ნახევრადსაპრეზიდენტოდ მოიხსენიებდა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან დღემდე კონსტიტუციონალიზმში არსებობს ცხარე დისკუსია მმართველობის მოდელებს შორის განსხვავებასა და თითოეული მათგანის ნიშნებზე.

ამ მიმართულებით უპირველესი დისკუსიის საგანი პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები გახდა, რომელიც შესაძლოა ორ ასპექტად დაიყოს. კერძოდ, პირველი შეეხებოდა სახელმწიფოს მეთაურის არჩევის წესს, ხოლო მეორე – მის უფლებამოსილებებს. კომისიის სამუშაო ჯგუფის უმრავლესობა პირველი რაუნდის ცხარე დისკუსიის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირდაპირი არჩევის წესი გაუქმებულიყო. მეორე რაუნდში ხელისუფლებამ კომისიაში ასეთი ვარიანტი წარადგინა: პრეზიდენტის მომდევნო არჩევნები პირდაპირი წესით ჩატარებულიყო, ხოლო 2023 წლისთვის ქვეყნის პირველი პირი ირიბად არჩეულიყო. საბოლოოდ, შეჯერება მოხდა ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს აირჩევს კოლეგია, რომელიც შედგება 150 პარლამენტარს დამატებული თვითმმართველობათა კონფერენციის მიერ არჩეული 150 დელეგატისგან.

ამ ეტაპისთვის, პრეზიდენტის უფლებამოსილებებში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მისი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციებს შეეხება. შეჯერებული ვერსია უშიშროების საბჭოს გაუქმებას და მის ნაცვლად, თავდაცვის საბჭოს შექმნას ითვალისწინებს, რომელიც მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს შეიკრიბება. რაც შეეხება საომარი მდგომარეობის დროს ოპერაციულ მართვას, ეს უფლებამოსილება პრემიერს მიენიჭება. ასევე, შემცირდება პრეზიდენტის კომპეტენციები საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით. მას აღარ ექნება უფლება დაბლოკოს ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიების ცვლილებას, ასევე სამხედრო კავშირში და საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებას შეეხება. კომპლექტაციის უფლებამოსილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების პარლამენტისთვის წარდგენის უფლების იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემა.

შეჯერებულ მოდელში ყველაზე არსებითი საკითხი საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემაა. სწორედ ის არის შემოთავაზებული კონსტიტუციური ბალანსის ქვაკუთხედი. როგორი იქნება საარჩევნო სისტემა არსებითად განსაზღვრავს რა ლოგიკით იმუშავებს ხელისუფლების დანაწილება საქართველოში. ეს ერთადერთი ბარიერია, რომლის გადალახვის შემდეგ მას, ვისაც ხელისუფლების მონოპოლია განუზრახავს, წინ აღარაფერი გადაეღობება. პლურალისტური და კონსენსუსზე ორიენტირებული სისტემის შექმნა სწორედ საარჩევნო სისტემით არის შესაძლებელი. შემოთავაზებულ ცვლილებებში 150-ვე დეპუტატი ერთიანი პროპორციული სისტემით აირჩევა, ბარიერი 5%-ია, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ პარტიებს აქვთ (ბლოკებისთვის ეს უფლება უქმდება), მანდატების განაწილების წესი შემდეგია: ბარიერგადალახული პარტიის ხმები მრავლდება 150-ზე და იყოფა არჩევნებში მონაწილე პირთა ნამდვილი ხმების რაოდენობაზე, გაუნაწილებელი მანდატები<sup>29</sup> მიაქვს გამარჯვებულ პარტიას.

კიდევ ერთი საკითხი ნდობა-უნდობლობას უკავშირდება. შემოთავაზებული ვერსიით ნდობის გამოცხადების პროცედურები მაქსიმუმ, ერთ თვემდე შეიძლება გაგრძელდეს, პარლამენტს ორი ცდა აქვს მთავრობის დასაკომპლექტებლად, რომელთა გაცუდების შემდეგ, მას პრეზიდენტი დაითხოვს. ასევე გათვალისწინებულია უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი. ის მოიცავს ერთ კენჭისყრას, მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში, უნდობლობისთვის საკმარისი ხმების რაოდენობა კი, 76-ია. პროექტით ასევე, იცნობს ნდობის ნეგატიურ ვოტუმს, რომლის განხორციელების მაქსიმალური ვადა დაახლოებით ერთი თვეა და შესაძლოა როგორც ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებით, ისე პარლამენტის დათხოვნით დასრულდეს.

ცვლილებებით ასევე, გათვალისწინებულია პროკურორის სისტემის კაბინეტიდან დისტანცირება. მთავარ პროკურორს საპროკურორო საბჭოს წარდგინებით, პარლამენტი აირჩევს. გარდა ამისა, კონსტიტუციის პირველ თავში გაჩნდება სამი ახალი მუხლი, სადაც დემოკრატიის, სამართლებრივ სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპების რეგლამენტაცია იქნება წარმოდგენილი. დაბოლოს, მოქმედი წესის გარდა, იარსებებს კონსტიტუციის გადასინჯვის კიდევ ერთი წესი, – პლურალური ვოტუმი, რომლის მიხედვითაც ინსტიტუციაში ცვლილების შესატანად ორი მოწვევის პარლამენტის 2/3-ის მხარდაჭერა იქნება საჭირო.

<sup>29</sup> ამ ფორმულის მიხედვით, ბოლო არჩევნების შედეგებით გაუნაწილებელი მანდატები 30-ს აღწევდა.

## 5. შეჯამება

---

რამდენადაც ამის საშუალებას ფორმატი იძლეოდა, სტატიაში განხილულია კონსტიტუციური რეფორმის სამი ასპექტი. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა, პოლიტიკური დაბრკოლებები და ყველაზე არსებითი სიახლეები. სტატიის მიზანი არ არის შეაფასოს მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმა, ის მხოლოდ ფაქტების მოწოდებას ცდილობს. მოცემული მომენტისთვის რთულია შედეგების ზუსტი პროგნოზირება, ეს დიდწილად დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ ვითარებასა და ვენეციის კომისიის დასკვნაზე. მართალია, ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, მაგრამ ეს გარდა იმისა, რომ ეფექტიანი მოქმედებების გატარების შესაძლებლობას იძლევა, უხერხულობის ასპექტსაც შეიცავს. ეს უხერხულობა მომდინარეობს ჭარბი ძალაუფლებისგან, მმართველ ძალას შეუძლია ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ქვეყნის უზენაესი კანონის ბედი, მაგრამ მას მშვენივრად ესმის, რომ ხელის გადაწევის პრინციპით მიღებული კონსტიტუცია ლეგიტიმური ვერ იქნება და მას პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში იგივე ბედი ეწევა, როგორც წინამორბედებს, ამიტომ ცდილობს თვითშეზღუდვას. პირველი ამ მიმართულებით განცხადებაა, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილებების კომისიაში მაქსიმალურად ფართო კონსენსუსით უნდა ყოფილიყო მიღებული (რაც კომისიაში განვითარებულმა ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ არ მოხდა), მეორე პირობა კიდევ უფრო მკაფიო და მკაცრია, ის ვენეციის კომისიის შეფასებებს უკავშირდება.

ამ ყველაფრის და განსაკუთრებით, ბოლო ასპექტის გათვალისწინებით შედეგების წინასწარმეტყველება რთულია. შესაძლოა ხელისუფლებას აქვს განზრახვები კონსტიტუციის კონკრეტული მიმართულებით შეცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინებაზე გაცემული პირობა ამ განზრახვებს მყიდვსა და ექსპერტულ მოსაზრებებზე დამოკიდებულს ხდის. ერთი რამ ცხადია, სულ ცოტა, უახლოესი თვეების განმავლობაში დისკუსიები კონსტიტუციურ საკითხებზე არ დაცხრება, ცვლილებების თემატიკა ყველა მიმართულებით იძლევა პოზიციების დაპირისპირების საშუალებას. იმედია, ეს დისკუსიები კონსტიტუციური ინსტიტუტების გამყარებას წაადგება, რამაც უნდა უზრუნველყოს კიდევ იმგვარი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება საქართველოში, სადაც პოლიტიკაზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ ელიტისთვის არ იქნება შესაძლებელი. ■

# ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე სასამართლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები\*\*

## I. შესავალი

საქართველოს მიერ ევროკავშირის ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა და აღმოსავლეთ პარტნიორობაში მონაწილეობიდან გამომდინარე, 2014 წლის ივნისში, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა<sup>1</sup> და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის<sup>2</sup> (DCFTA) ხელმოწერით აშკარაა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.<sup>3</sup> ასოცირების შეთანხმების/DCFTA-ს

\* სტატია თარგმნილია ინგლისურიდან.

\*\* LLM., MLB (ბუცერეუსი/WHU), სამართლის დოქტორი (კილის უნივერსიტეტი, გერმანია).

<sup>1</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, ხელმოწერილი 2014 წლის 27 ივნისს, ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/uploads/other/34/34754.pdf>.

<sup>2</sup> ტექსტი ქართულად და ინგლისურად ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=economy&s=7>.

<sup>3</sup> ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა და გაფართოების მოლაპარაკებების თაობაზე დეტალურად იხილეთ: [https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/georgia\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/georgia_en).

ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს განზრახვას, განაგრძოს რეფორმისტული მიდგომა ადგილობრივი მარეგულირებელი სტანდარტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების მიზნით. კერძოდ, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს მნიშვნელოვან საკითხებს სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის კუთხით, რომელთან დაახლოებაც საქართველოს გააძლიერებს სასამართლო თანამშრომლობის საერთაშორისო ჩარჩოში. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მცდელობას გააანალიზოს საქართველოს პერსპექტივები – გახდეს საერთაშორისო დონეზე სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის ფარგლებში მიმზიდველი და მოქნილი იურისდიქცია.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლის თანახმად, რომელიც ეხება სამართლებრივ თანამშრომლობას, „*მხარეები თანხმდებიან, რომ განავითარებენ სასამართლო თანამშრომლობას სამოქალაქო და კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით, სამოქალაქო საკითხებზე სასამართლო თანამშრომლობის შესახებ მრავალმხრივი კონვენციების თაობაზე მოლაპარაკებების, მათი რატიფიცირებისა და იმპლემენტაციის კუთხით და კონკრეტულად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონფერენციის კონვენციების თაობაზე, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და სამართალწარმოების, ასევე, ბავშვთა დაცვის სფეროში.*“ 21-ე მუხლი ცხადყოფს, რომ საქართველომ უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯები, რათა იყოს უფრო აქტიური საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონფერენციაზე (HCCH), რომელიც მისი წევრებისათვის ფორუმს წარმოადგენს, რათა შეიმუშაონ და განახორციელონ საერთაშორისო კერძო სამართლის დარგის საერთო წესები.

ტრანსსასაზღვრო კომერციული სამართალწარმოებისათვის ბარიერების შემცირება საზღვრისპირა აღიარების მექანიზმების მკაფიო განაწილებისა და უცხოური გადაწყვეტილებების აღსრულების გზით, სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ იმ ბიზნესებს, რომლებიც საერთაშორისო ტრანზაქციებში მონაწილეობენ, არამედ საქართველოს, როგორც დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც სურს დაამკვიდროს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების განხორციელების მარეგულირებელი გარემო.

აღსანიშნავია, რომ საქართველო 2001 წლიდან საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონვენციის წევრია<sup>4</sup> (ძალაში შევიდა 1955 წლის 15 ივლისს) და შესაბამისად, მისთვის სავალდებულო ძალის მქონეა შემდეგი კონვენციები:<sup>5</sup>

- უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია;
- 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ;
- 1993 წლის 29 მაისის ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ჰააგის კონვენცია;
- მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულება-ბასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია.

2014 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ გადადგა ნაბიჯები სამი ეროვნული სამოქმედო გეგმის დანერგვით, შემდეგნაირად:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 აპრილის N1516 დადგენილება ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2014 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2014 წლის სამოქმედო გეგმა);<sup>6</sup>
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის N59 დადგენილება ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2015 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2015 წლის სამოქმედო გეგმა);<sup>7</sup>
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N382 დადგენილება ასოცირების შეთანხმების 2016 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2016 წლის სამოქმედო გეგმა).<sup>8</sup>

<sup>4</sup> <https://www.hcch.net/en/states/hcch-members/details1/?sid=40>.

<sup>5</sup> <https://www.hcch.net/en/states/hcch-members/details1/?sid=40>.

<sup>6</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496190>.

<sup>7</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2702520>.

<sup>8</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3222307>.



თითოეული ზემოხსენებული სამოქმედო გეგმა პირდაპირ ითვალისწინებს,<sup>9</sup> რომ საქართველოს მიერ დაგეგმილ შემდგომ ქმედებებს წარმოადგენს სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის გაღრმავება ქვემოთ ჩამოთვლილ კონვენციებზე მიერთებისა და განხორციელების გზით:

- 1965 წლის კონვენცია „სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების უცხოეთში მომსახურების შესახებ“ (მომსახურების კონვენცია);
- 1970 წლის კონვენცია „სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მტკიცებულების უცხოეთში გატანის შესახებ“ (მტკიცებულების კონვენცია);
- 1980 წლის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ (ბავშვთა გატაცების კონვენცია);
- მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის კონვენცია (ბავშვთა დაცვისა და მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ კონვენცია).

მომსახურებისა და მტკიცებულებათა კონვენციები სამომავლო მიერთებას ექვემდებარება, ხოლო ბავშვთა გატაცებისა<sup>10</sup> და მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის კონვენციები<sup>11</sup> უკვე მოქმედებს საქართველოში.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ძირითადად, შემოიფარგლება პერსპექტივით, რომ საქართველომ შეიმუშაოს კომერციულ საკითხებზე სასამართლო თანამშრომლობის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელშიც მტკიცებულებათა კონვენცია ან/და მომსახურების კონვენცია გადაწყვეტ როლს შეასრულებს. გარდა ამისა, აღნიშნული სტატია განიხილავს არსებობს თუ არა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლის მხედველობაში მიღება აგრეთვე, შესაძლებელია კომერციულ საკითხებზე სასამართლო თანამშრომლობის განვითარებისა და

<sup>9</sup> შეადარეთ 2014 წლის სამოქმედო გეგმის 195-ე პუნქტი, 2015 წლის 226-ე პუნქტი და 2016 წლის სამოქმედო გეგმის 78-ე პუნქტი.

<sup>10</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=24>.

<sup>11</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=24>.



გაძლიერებისათვის. სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს ხელმისაწვდომი შესაძლებლობების გამოვლენა და ანალიზი, რათა: (i) საქართველო გახდეს საზღვრებსშორის ტრანზაქციებისა და კომერციული სამართალწარმოების საქმეებისათვის მიმზიდველი იურისდიქცია; და (ii) საქართველო დაახლოვდეს ევროკავშირთან. სტატია სრულდება მოკლე დასკვნით.

## 2. საქართველოს მიერ მომსახურებისა და მტკიცებულებათა კონვენციებთან მიერთების მნიშვნელობა

იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართალწარმოებისას ხელი შეეწყოს ბიზნესისა და მოქალაქეების მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საჭიროებებს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ორი ძირითადი ასპექტი: (i) დოკუმენტების მომსახურება და (ii) მტკიცებულებების მოპოვება. წინა თავში წარმოდგენილი მომსახურებისა და მტკიცებულებათა კონვენციები საერთაშორისო სამართალწარმოებისას მოქმედი ძირითადი ინსტრუმენტებია. ამჟამად, საქართველო რამდენიმე მრავალმხრივ და ორმხრივ კონვენციასა და შეთანხმებას დებს სასამართლო თანამშრომლობაზე.<sup>12</sup> თუმცა, აღნიშნულ კონვენციებსა და შეთანხმებებში ხელშემკვრელი მხარეების რიცხვი 16-ს არ აღემატება და შესაბამისად, არასაკმარისია.

### 2.1. მომსახურების კონვენცია

მომსახურების კონვენცია ვრცელდება ყველა იმ საქმეზე, რომელიც მოიცავს სამოქალაქო ან კომერციულ საკითხებს, სადაც არსებობს საზღვარგარეთ მომსახურებაზე სასამართლო თუ სასამართლოგარეშე

<sup>12</sup> იხილეთ იმ კონვენციებისა და შეთანხმებების ჩამონათვალი, რომელიც მოქმედებს საქართველოსა და შემდეგი ქვეყნებისათვის: აზერბაიჯანი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, თურქმენეთი, სომხეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, თურქეთი და ჩეხეთი: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336>.

გადაცემის გარემოება.<sup>13</sup> მომსახურების კონვენცია წარმოადგენს საზღვარგარეთ მომსახურებისათვის დოკუმენტების გადაცემის გამარტივების ძირითად საშუალებას. შესაბამისად, ის მნიშვნელოვნად ამცირებს საზღვარგარეთ მომსახურების პროცესის დასრულებისათვის საჭირო დროს.<sup>14</sup> სათანადო მომსახურების უზრუნველყოფის აღუსრულებლობას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს მხარეთა სამართლებრივ ინტერესებს და მრავალ სირთულეს იწვევს საერთაშორისო სამართალწარმოებაში. საქართველოს მიერ გაფორმებული მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების სიმცირე იწვევს მოქმედი საერთაშორისო დებულებების ნაკლებობას, რომელიც განკუთვნილია დოკუმენტების მომსახურებისათვის საერთაშორისო კომერციულ სამართალწარმოებაში, სადაც საქართველო მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება მომსახურების კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, მას ექნება 72 ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან საერთო წესები დოკუმენტების საერთაშორისო მომსახურებაზე. აღნიშნული საერთო წესები ხელს შეუწყობს იმ საერთაშორისო კომერციული სამართალწარმოების საქმეების მოქნილ მართვას, რომელშიც საქართველოა ჩართული.

გემოაღნიშნული უპირატესობების გარდა, მომსახურების კონვენციაზე მიერთება საქართველოს დაახლოებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შემდეგი საფუძვლებით, პირველ რიგში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა მომსახურების კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენენ.<sup>15</sup> აგრეთვე, მომსახურების კონვენციის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2007 წლის 13 ნოემბრის N1393/2007 რეგულაციაში სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე სასამართლო და არასამართლო დოკუმენტების მომსახურებაზე წევრ სახელმწიფოებში (დოკუმენტების მომსახურება) და საბჭოს N1348/2000<sup>16</sup> რეგულაციის გაუქმებაზე (ევროკავშირის 2007 წლის მომსახურების რეგულაცია).<sup>17</sup>

<sup>13</sup> მომსახურების კონვენციის პირველი მუხლი: <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=17>.

<sup>14</sup> მომსახურების კონვენციის მოქმედების პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2016, გვ. 9.

<sup>15</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=17>.

<sup>16</sup> <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32007R1393>.

<sup>17</sup> სასამართლო თანამშრომლობა სამოქალაქო საქმეებზე ევროკავშირში, სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის, 2015, გვ. 85, ხელმისაწვდომია: [http://ec.europa.eu/justice/civil/files/civil\\_justice\\_guide\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/civil/files/civil_justice_guide_en.pdf)

## 2.2. მტკიცებულებათა კონვენცია

მტკიცებულებათა კონვენცია მომსახურების კონვენციის შემდეგ ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ეხება საერთაშორისო სამოქალაქო პროცედურებს. მტკიცებულებათა კონვენცია არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზღვარგარეთ მტკიცებულებათა მიღების პროცედურებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მტკიცებულებების მოპოვებისთვის საჭირო დროს.<sup>18</sup> მტკიცებულებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო უწყებას, აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია: მოსთხოვოს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებას წერილით ან მოთხოვნით, მოიპოვოს მტკიცებულება ან განახორციელოს სხვა სასამართლო ქმედება.<sup>19</sup> მომსახურების კონვენციის მსგავსად, საქართველოს მიერთება მტკიცებულებათა კონვენციაზე მრავალ უპირატესობას მოიტანს.

მტკიცებულებათა კონვენციის ხელშემკვრელ მხარედ გახდომით საქართველოს, პირველ რიგში, ექნება საერთოსამართლებრივი ჩარჩოები 61 ქვეყანასთან ერთად, მტკიცებულებათა საერთაშორისო მოპოვებასთან დაკავშირებით.<sup>20</sup> მეორე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა მტკიცებულებათა კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა. შესაბამისად, მიერთება გასამართლებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის საერთაშორისო სასამართლო თანამშრომლობას მრავალმხრივი კონვენციის დონეზე. გარდა ამისა, მტკიცებულებათა კონვენციის ძირითადი პრინციპები შესაბამისობაშია წევრი ქვეყნების სასამართლოებს შორის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე მტკიცებულებათა მიღებისას თანამშრომლობის შესახებ ევროსაბჭოს (2001 წლის 28 მაისი) N1206/2001 რეგულაციასთან;<sup>21</sup> შესაბამისად, მტკიცებულებათა კონვენციაზე მიერთება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან მიახლოებას შეუწყობს ხელს.

<sup>18</sup> მომსახურების კონვენციის მოქმედების პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2016, გვ. 9.

<sup>19</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=82>.

<sup>20</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=82>.

<sup>21</sup> სასამართლო თანამშრომლობა სამოქალაქო საქმეებზე ევროკავშირში, სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის, 2015, გვ. 91. ხელმისაწვდომია: [http://ec.europa.eu/justice/civil/files/civil\\_justice\\_guide\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/civil/files/civil_justice_guide_en.pdf); <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32001R1206>.

### 3. სასამართლო კომპეტენციათა შერჩევა

---

სამოქალაქო და კომერციულ საერთაშორისო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი 2005 წლის 30 ივნისის ჰააგის კონვენცია სასამართლო კომპეტენციათა არჩევის თაობაზე, რომლის მიზანია სასამართლო კომპეტენციათა არჩევის ეფექტიანობის უზრუნველყოფა (რაც აგრეთვე ცნობილია, როგორც „ფორუმის შერჩევის დებულებები“ ან „იურისდიქციის დებულებები“) მხარეებს შორის საერთაშორისო კომერციულ ტრანზაქციებში.<sup>22</sup> სასამართლო კომპეტენციათა არჩევის კონვენცია უზრუნველყოფს საერთაშორისო აქტივობებში ჩართულ ბიზნესებს მნიშვნელოვანი სიმტკიცით და უქმნის სამართლებრივ გარემოს, რომელიც უკეთ არის ადაპტირებული და მორგებული საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების საჭიროებებზე, და შესაბამისად, საშუალებას აძლევს მხარეებს უკეთ მართონ საერთაშორისო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული რისკები და ბარიერები.<sup>23</sup> კერძოდ, სასამართლო კომპეტენციათა არჩევის კონვენციაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ტრანზაქციების მხარეებს შეუძლიათ წინასწარ შეთანხმდნენ იმ დავების გადაწყვეტის გზებზე, რომლებიც წარმოიშობა განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით. არჩევანის ფორუმის დებულებებიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკაში ძირითად საკითხს წარმოადგენს სათანადო აღსრულების უზრუნველყოფა, ვინაიდან შესაბამისი იურისდიქციის დებულებების კანონიერებასა და აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობა განსხვავდება იურისდიქციებში.<sup>24</sup> ფორუმის არჩევის ნორმების კანონიერებისა და აღსრულების უზრუნველყოფისათვის, სასამართლო კომპეტენციათა არჩევის კონვენცია მოიცავს სამ ძირითად წესს, რომელიც ეხება სასამართლოთა არჩევის შეთანხმებებს:<sup>25</sup>

---

<sup>22</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/specialised-sections/choice-of-court>.

<sup>23</sup> კონვენციის მიმოხილვა, მაისი 2013. <https://assets.hcch.net/docs/89be0bce-36c7-4701-af9a-1f27be046125.pdf>.

<sup>24</sup> Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Auflage, 2014, პარაგრაფები: 500-553.

<sup>25</sup> კონვენციის მიმოხილვა, მაისი 2013. <https://assets.hcch.net/docs/89be0bce-36c7-4701-af9a-1f27be046125.pdf>.

1. შერჩეულმა სასამართლომ ფაქტობრივად უნდა განიხილოს საქმე (მე-5 მუხლი);
2. ნებისმიერმა სასამართლომ, რომელიც არ იქნა არჩეული, უარი უნდა განაცხადოს საქმის განხილვაზე (მე-6 მუხლი);
3. შერჩეული სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული უნდა იქნას ხელშემკვერელ სახელმწიფოებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უარის საფუძველი (მე-8 და მე-9 მუხლები).

საერთაშორისო არბიტრაჟის შეთანხმებებისგან განსხვავებით, რომლებიც ფართოდ აღიარებულია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციით, ფორუმის არჩევის დებულებები, რომლებიც იძლევა შესაბამისი სახელმწიფოების სასამართლოების შერჩევის შესაძლებლობას, ყოველთვის არ არის დაცული და აღსრულებული მითითებული სასამართლოს ეროვნული იურისდიქციის თავისებურებების გამო. შესაბამისად, სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ სიტუაციის გამოსწორება იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნით, რომელიც უფრო ხელსაყრელია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის.<sup>26</sup>

სასამართლოთა კომპეტენციის შერჩევის კონვენცია ვრცელდება „სამოქალაქო და კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით გაფორმებულ“ სასამართლოთა შერჩევის ექსკლუზიურ შეთანხმებებზე (მუხლი 1) და გამოირიცხავს სამომხმარებლო და დასაქმების კონტრაქტებს, ასევე გარკვეულ განსაზღვრულ საკითხებს (მე-2 მუხლი).<sup>27</sup>

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქართველოს კერძო საერთაშორისო სამართლის კანონისა და სასამართლო თანამშრომლობის შესახებ არსებული მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე სასამართლოს კომპეტენციათა არჩევის სა-

<sup>26</sup> კონვენციის მიმოხილვა, მაისი 2013: <https://assets.hcch.net/docs/89be0bce-36c7-4701-af9a-1f27be046125.pdf>.

<sup>27</sup> დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ტრევიორ ჰარტლისა და მასათო დოგაუჩის განმარტებითი ანგარიში, 2013: <https://www.hcch.net/en/publications-and-studies/details4/?pid=3959>.

მართლებრივი ხასიათისა და შედეგების ერთიან და კარგად ჩამოყალიბებულ ინტერპრეტაციას,<sup>28</sup> საქართველოსთვის მიზანშეწონილია შეუერთდეს სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციას, რათა შექმნას უკეთ განსაზღვრული საკანონმდებლო ჩარჩოები საქართველოში საერთაშორისო კომერციული დავების გადასაწყვეტად და საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულებისათვის საქართველოს გარეთ. მსგავსი შედეგი მიღწეული იქნება განსაკუთრებით, 2016 წლის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწყებული იმედის მომცემი პროექტის გათვალისწინებით, რომელიც ეხება სპეციალური კომერციული სასამართლო სისტემის შექმნას.<sup>29</sup>

საქართველო სხვადასხვა გზით ისარგებლებს სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციაზე მიერთებით. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამჟამად, 30 სახელმწიფოსა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციებისათვის (REIOs)<sup>30</sup> აღნიშნული კონვენცია სავალდებულო ძალის მქონეა; სინგაპურმა კონვენციის რატიფიცირება 2016 წლის 2 ივნისს მოახდინა და გახდა პირველი აზიური მარატიფიცირებელი სახელმწიფო. ამერიკა და უკრაინა ამჟამად კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენენ.<sup>31</sup> აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ევროკავშირიც სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციის ხელმომწერია.<sup>32</sup> შესაბამისად, სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციაზე მიერთება საქართველოს დაახლოებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან (დანის გარდა, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა), რომელთათვისაც კონვენცია სავალდებულო ძალის მქონეა. აქედან გამომდინარე, მიერთება დიდწილად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ინვესტიციებისა და ბიზნესტრანზაქციებისათვის და მასთან დაკავშირებული

<sup>28</sup> გამყრელიძე, საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართალში; მართლმსაჯულება და სამართალი, სამართლის ჟურნალი, #3(30)11, გვ. 15; სვანაძე: Beiträge und Informationen zum Recht im postsowjetischen Raum ([www.mpipriv.de/files/pdf4/2016\\_05\\_23.pdf](http://mpipriv.de/files/pdf4/2016_05_23.pdf)), [http://mpipriv.de/files/pdf4/2016\\_05\\_23.pdf](http://mpipriv.de/files/pdf4/2016_05_23.pdf).

<sup>29</sup> მეტი ინფორმაციისათვის, იხილეთ: <http://www.justice.gov/ge/News/Detail?newsId=5307>

<sup>30</sup> რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციები.

<sup>31</sup> საერთაშორისო კომერციულ კონტრაქტებში ფორუმისა და სამართლის შერჩევისათვის შემოთავაზებული შემდგომი სამუშაო; კონფერენციის ზოგადი ხასიათის საქმეთა და პოლიტიკის საბჭო, 2017 წლის მარტი, ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/ThinkPadT410/Downloads/March%6202017.pdf>.

<sup>32</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=98>.

დავებისათვის, რომელიც მოიცავს ბიზნესებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან და საქართველოდან, სამართლებრივი რეალობის შექმნას.

## 4. გადაწყვეტილებების პროექტი

სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის ზემოაღნიშნული კონვენცია დავაშირებულია „გადაწყვეტილებების პროექტთან“, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონფერენციის (HCCH) მიერ მართულ მნიშვნელოვან პროექტთან.<sup>33</sup> პროექტი უკავშირდება HCCH-ის განხორციელებულ საქმიანობას 1992 წლიდან საერთაშორისო სამართალწარმოებაში სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე საერთაშორისო კერძო სამართლის ორ ძირითად ასპექტს: (i) სასამართლოების საერთაშორისო იურისდიქცია; (ii) ამგვარი სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება საზღვარგარეთ.<sup>34</sup> სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციის შემუშავება გადაწყვეტილებების პროექტის ერთ-ერთი შედეგია.

ამჟამად, გადაწყვეტილებების პროექტი ორიენტირებულია უცხოური გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ მსოფლიო კონვენციის შემუშავებაზე. ამგვარი კონვენციის გაფორმება გააძლიერებს საერთაშორისო სამართალწარმოებასა და უცხოური გადაწყვეტილებების საერთაშორისო აღიარებასა და აღსრულებას, ვინაიდან ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საერთაშორისო სავაჭრო და საერთაშორისო გარიგებები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.<sup>35</sup> გლობალურ დონეზე უცხოური გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების ერთიანობის მიღწევა შეამცირებს სამართლებრივ დაბრკოლებებს საერთაშორისო გარიგებებში ჩართული ფიზიკური პირებისა და კორპორაციებისათვის და შექმნის საიმედო სასამართლო ინფრასტრუქტურას საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების მხარდასაჭერად.<sup>36</sup>

<sup>33</sup> <https://www.hcch.net/en/projects/legislative-projects/judgments>.

<sup>34</sup> <https://www.hcch.net/en/projects/legislative-projects/judgments>.

<sup>35</sup> გადაწყვეტილებების პროექტი მიმოხილვისათვის იხილეთ: <https://www.hcch.net/en/projects/legislative-projects/judgments>.

<sup>36</sup> გადაწყვეტილებების პროექტი მიმოხილვისათვის იხილეთ: <https://www.hcch.net/en/projects/legislative-projects/judgments>.



შეფასებების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ყოველწლიურად საშუალოდ, 70 საქმეს განიხილავს უცხოური გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებაზე.<sup>37</sup> აღნიშნული რიცხვი საქართველოს კონტექსტისათვის არ არის დაბალი. საქართველოსათვის სასარგებლო იქნება „[...] ვაჭრობისათვის ზიანის მომტანი მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის აქტიური გეგმის დასახვა, [...] გადაწყვეტილებათა ორმხრივი აღიარების პრინციპის მიღების განზრახვით.“<sup>38</sup> შესაბამისად, საქართველოსათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სასამართლო თანამშრომლობაში უცხოური გადაწყვეტილებების საერთაშორისო აღიარებისა და აღსრულების კუთხით, თუ ქვეყანა წარმატებით გახდება გადაწყვეტილებების პროექტის აქტიური მონაწილე, შესაბამის კონვენციაზე მიერთების საბოლოო მიზნით. უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონები იცნობენ პრინციპებს, როგორცაა Res Judicata, ირიბი იურისდიქცია, წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები, Lis Pendens, თანაზიარობა და საჯარო პოლიტიკა, რომელიც შეიძლება შევადაროთ გერმანიის, შვეიცარიისა და სხვა ევროპულ პრინციპებს.<sup>39</sup> ამგვარი პრინციპები საფუძვლად უდევს შესაბამისი კონვენციის განხორციელებას საქართველოში.

## 5. დასკვნა

წინამდებარე სტატია აანალიზებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში ორმხრივი სასამართლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოსთვის საერთაშორისო სასამართლო თანამშრომლობაში ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზა გადის

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 2 ივნისის წერილი, გვ. 84-16.

<sup>38</sup> ე. ჰირშ ბოლინი, მისი დროის მისია: ტობიას ასერის საინაუგურაციო მიმართვა კომერციულ სამართალსა და ვაჭრობაზე, ამსტერდამი, 1862 წელი (ჰაავა, T.M.C. ასერ პრესა, 2012), გვ. 33-34.

<sup>39</sup> გერმანიისა და ევროპული პრინციპების მქონე უცხოური გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს წესების შედარების შემდგომი ანალიზისთვის იხილეთ: სვანაძე, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, 2014.



ჭაგის რეჟიმის, უფრო კონკრეტულად, HCCH-ის გავლით. საერთაშორისო სამართალწარმოების რეგულირების ეფექტიანი და საიმედო სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება წარმოადგენს HCCH-ის ფუნდამენტურ როლს. შესაბამისად, HCCH მნიშვნელოვანი ფორუმია საქართველოსათვის, ასოცირების შესახებ შეთანხმების წარმატებით განხორციელების მიზნით, გაძლიერებული საერთაშორისო სასამართლო თანამშრომლობის კონტექსტში.

კერძოდ, საქართველოსთვის გონივრული იქნებოდა, გაეგრძელებინა ჭაგის შესაბამისი კონვენციების იდენტიფიცირება საქართველოს მიერ შემდგომი გაწვევრიანებისათვის, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სასამართლო თანამშრომლობის სფეროში ურთიერთობას.

ამ მიმართულებით, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმების შესაბამის დღის წესრიგში მომსახურების და მტკიცებულებათა კონვენციების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, საქართველოსათვის მიზანშეწონილია განიხილოს სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციაზე პოტენციური მიერთება, საერთაშორისო ვაჭრობასა და საინვესტიციო ტრანზაქციებში, რომელიც მოიცავს ქართულ მხარეებს, საერთაშორისო სამართალწარმოების თანდაყოლილი რისკებისა და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად.

სასამართლო კომპეტენციათა შერჩევის კონვენციაზე მიერთებისათვის სათანადო ნაბიჯების გადადგმა საქართველოს შეუქმნის გონივრულ და ადეკვატურ საფუძველს, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების პროექტში. გადაწყვეტილებების პროექტში მონაწილეობა გააძლიერებს საქართველოს იმიჯს, როგორც ერისა, რომლის ძირითადი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის და შესაბამისი დავებისათვის მიმზიდველი იურისდიქციის შექმნა.



# შეუძლია თუ არა საქართველოს გახდეს საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის რეგიონული ცენტრი?\*\*\*

## 1. შესავალი

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, კომერციულმა არბიტრაჟმა ფართო პოპულარობა მოიპოვა ბიზნესსაზოგადოებასა და საერთაშორისო სამართალმცოდნეებს შორის. სხვადასხვა იურისდიქციაში დაარსდა რიგი საარბიტრაჟო ინსტიტუტები. ეს დაწესებულებები ყოველდღიურად იხილავენ ათობით საქმეს, რომელიც უზარმაზარ თანხებს ეხება. კომერციული დავების გადაწყვეტის ადმინისტრირება მომგებიანი ბიზნესია არა მარტო დაწესებულებებისათვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, სადაც ხდება დავების გადაწყვეტა. შესაბამისად, ეს ქვეყნები ცდილობენ გახდნენ საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის ცენტრები. წინამდებარე სტატიაში გაანალიზდება, აქვს თუ არა საქართველოს პოტენციალი, გახდეს საერთაშორისო სავაჭრო დავების ადმინისტრირების რეგიონული ცენტრი.

\* სტატია თარგმნილია ინგლისურიდან.

\*\*\* MIDS (Master in International Dispute Settlement) პროგრამის მაგისტრანტი, ჟენევის უნივერსიტეტი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო კომერციული დავების მოგვარების ბუნებრივი გზა ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების ნაცვლად, არის არბიტრაჟი. 2015 წლის ქუინ მერის გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 90%-მა აღნიშნა, რომ არბიტრაჟი მათთვის დავების გადაწყვეტის უპირატესი მეთოდია.<sup>1</sup> მიზეზები, რის გამოც კომპანიები და პრაქტიკოსი იურისტები ირჩევენ ამ გზას არის მოქნილობა და პროგნოზირება, განსაკუთრებით კი, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის (ნიუ იორკის კონვენცია) გადაწყვეტილებების საყოველთაო აღსრულება და მხარეთა თავშეკავება, მიმართონ ეროვნულ სასამართლოებს, რომლებიც შესაძლოა იყოს მიკერძოებული და არ ჰქონდეს გამოცდილება კონკრეტულ კომერციულ დარგებში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ნათელი გახდა, რომ საერთაშორისო კომერციული დავების მოგვარება ევროპიდან აზიაში ინაცვლებს.<sup>2</sup> დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყენებენ სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (SIAC) და ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკურ და სავაჭრო საარბიტრაჟო კომისიას (CIETAC), რომლებიც საკმაოდ იაფი და ხარისხიანია, ვიდრე საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC) პარიზში და ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (LCIA).<sup>3</sup> აზიაში არბიტრაჟის აღმასვლის მიზეზი რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო გიგანტის წარმოქმნით ჩინეთში. გადამწყვეტი რეფორმები განხორციელდა სამ სხვადასხვა დონეზე: არბიტრაჟის მეგობრული სასამართლო სისტემის გაძლიერება; თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის ამსახველი კანონმდებლობის ტრანსფორმაცია; საარბიტრაჟო ინსტიტუტების შექმნა, რომელთაც ძალუძთ საერთაშორისო კომერციული დავების მოგვარება.<sup>4</sup>

კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემაც სურს წინამდებარე სტატიას, არის ის, რომ შეუძლია თუ არა საქართველოს გახდეს საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის რეგიონული ცენტრი და შესთავაზოს არ-

<sup>1</sup> ქუინ მერი, 2015, გამოკითხვა საერთაშორისო არბიტრაჟზე: საერთაშორისო არბიტრაჟის სრულყოფა და ინოვაციები, გვ. 2.

<sup>2</sup> ბაო ს., საერთაშორისო არბიტრაჟის აღმასვლა აზიაში: მიზეზები და შედეგები, არბიტრაჟის კრებული, Vol. 4, 1 გამოცემა, 2014, გვ. 31.

<sup>3</sup> ქუინ მერის გამოკითხვა, გვ. 2.

<sup>4</sup> ბაო ს., გვ. 34.

ბიტრაჟის ალტერნატიული ფორუმი გადაჭარბებულად ძვირადღირებულ ევროპას ან დამწყებ აზიას. აღნიშნული კითხვა უფრო ლეგიტიმურია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას და სავაჭრო ბარიერები მოუხსნეს ევროკავშირის სარფიან, 500-მილიონიან ბაზარს.<sup>5</sup> ზოგადად, მეტი საერთაშორისო ვაჭრობა უფრო მეტ საერთაშორისო დავებს გულისხმობს. ვინაიდან ასოცირების შესახებ შეთანხმება არ აკისრებს საქართველოს რაიმე ვალდებულებას კომერციულ არბიტრაჟთან დაკავშირებით, საქართველოს შეუძლია კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რათა გახდეს კომერციული დავების გადაწყვეტის რეგიონული ცენტრი. კითხვაზე პასუხის გასაცემად, აღნიშნული სტატია დაყოფილია შემდეგნაირად: პირველ რიგში, განიხილება ცვლილებები, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს სასამართლოში; სტატია აგრეთვე, მიმოიხილავს ცვლილებებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში. ამის შემდეგ განიხილება არბიტრაჟის ინსტიტუტები საქართველოში, რომელთაც შეუძლიათ საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის ადმინისტრირება; და საბოლოოდ, დოკუმენტში წარმოდგენილია დასკვნითი ნაწილი.

## 2. ცვლილებები სასამართლოში

მიუხედავად იმისა, რომ კომერციულ მხარეებს დავების გადაწყვეტა ურჩევნიათ არბიტრაჟის გზით, მათ კვლავ სჭირდებათ ძლიერი, სპეციალიზებული და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. კომერციული არბიტრაჟი ვერ იქნება სრულად ფუნქციონალური ეროვნული სასამართლოების „პოზიტიური ჩარევის“ გარეშე. მხარეებს ფაქტიურად, ყოველთვის სჭირდებათ დახმარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან გაუქმების პროცედურებით ზედამხედველ იურისდიქციაში ან გადაწყვეტილების აღსრულების წინააღმდეგობისას მეორად იურისდიქციებში.<sup>6</sup> გარდა ამისა,

<sup>5</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს.

<sup>6</sup> ბოლი მ., არსებითი მოსამართლე: სასამართლოების როლი ეროვნული და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სისტემაში, საერთაშორისო არბიტრაჟი, Vol. 22, N1, 2006 წ., გვ. 74.

*ad hoc* არბიტრაჟის მოქმედება დიდწილად დამოკიდებულია ეროვნულ სასამართლოებზე, განსაკუთრებით, არბიტრების არჩევის პროცედურებში.<sup>7</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია არბიტრაჟის მომხრე სასამართლოების არსებობა, რომლებიც სახელმწიფოს გავლენისაგან თავისუფალია, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, როდესაც დავა ეხება სახელმწიფოს ან მის კუთვნილ კომპანიებს, აგრეთვე რომელიც სპეციალიზდება საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე. წინამდებარე სტატია მოიცავს სამ შემოთავაზებულ რეფორმას სასამართლოში, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს სასამართლოს მიდგომა არბიტრაჟის მიმართ: საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა; სასამართლო პროცესის ჩატარება ინგლისურ ენაზე; და კვალიფიციური უცხოელი იურისტებისათვის აღნიშნულ სპეციალიზებულ სასამართლოებში პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობა.

## 2.1. სპეციალიზებული საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნა

2016 წლის ბოლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო ამბიციური პროექტის განხორციელება სასამართლოში, რომლის მიზანია სპეციალური კომერციული სასამართლოს შექმნა.<sup>8</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისათვის უცნობია პროექტის კონკრეტული დეტალები, როგორცაა მაგალითად, მისი იურისდიქციის მოცულობა, თავად იდეა მისასაღებელია, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტს დავებს დაჩქარებული და სპეციალიზებული გზით. მსგავსი კომერციული სასამართლოები წარმატებით ფუნქციონირებენ ლონდონში, სინგაპურსა და ნიუ იორკში.<sup>9</sup>

სპეციალური კომერციული სასამართლოს შექმნის გარდა, წინამდებარე სტატია განიხილავს, რომ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა მხარეებისათვის იქნება ძლიერი სტიმული, რათა საქართველო აირჩიონ არბიტრაჟის ქვეყნად. სპეციალიზებული საარბიტრაჟო სასამართლოების რიცხვი სხვადასხვა იურისდიქციებში იზრდება. 2013 წლის 3 დეკემბერს შეიქმნა მაიამის კომერციული

<sup>7</sup> იგივე.

<sup>8</sup> ოფიციალური ანგარიში ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5307>

<sup>9</sup> ვანგი მ., კომერციული სასამართლოები და საერთაშორისო არბიტრები – კონკურენტები თუ პარტნიორები? საერთაშორისო არბიტრაჟი, Vol. 31, N. 2, 2015 წ., გვ. 196.

არბიტრაჟის სასამართლო, რამაც გამოიწვია მოთხოვნის გაზრდა მაიამი-ზე, როგორც არბიტრაჟის ადგილზე.<sup>10</sup> ამ სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა მოხდა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამოცდილებისა და შესაბამისი დარგის აკადემიური ცოდნის გათვალისწინებით.<sup>11</sup> აღნიშნული სასამართლოს იურისდიქცია უკავშირდება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობასა და საფუძვლიანობას, რომელიც იძლევა მოთხოვნის შუალედურ დაკმაყოფილებასა და არბიტრების დანიშვნის შესაძლებლობას.<sup>12</sup> სპეციალიზებული საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის შემდეგ, იზრდება იმ მხარეთა რიცხვი, განსაკუთრებით, ლათინური ამერიკიდან, რომლებმაც არბიტრაჟის ადგილად შეარჩიეს მაიამი.<sup>13</sup> სპეციალიზებული (Pecialized) საარბიტრაჟო სასამართლოები აგრეთვე, გვხვდება ავსტრალიასა (ვიქტორიას შტატი) და ინდოეთში (ბომბეი).<sup>14</sup>

სპეციალიზებული საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნა ხელს შეუწყობს დავების გადაწყვეტას საქართველოში. მხარეები ელიან მაქსიმალურ პროგნოზირებას და საარბიტრაჟო სასამართლოს, როდესაც ისინი ირჩევენ არბიტრაჟის ადგილს. სპეციალიზებული სასამართლოსა და საკმარისი მოსამართლეების ყოლა გადამწყვეტია. ამ ეტაპზე, საქართველოში არ არის იმ მოსამართლეების სათანადო რაოდენობა, რომელთაც აქვთ გამოცდილება ამ სფეროში და ამასთან, სასამართლო პრაქტიკა კომერციულ არბიტრაჟში მწირია. აქედან გამომდინარე, სპეციალიზებული საარბიტრაჟო სასამართლო და ექსპერტი მოსამართლეების არჩევა დიდწილად შეუწყობს ხელს ამ პროცესს. მისი იურისდიქციის ფარგლები შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საერთაშორისო დავებით ან შე-

---

<sup>10</sup> კარმონა მ. კატალინა, „მაიამი: საერთაშორისო არბიტრაჟის საკუთარი სასამართლო,“ ARBlog საერთაშორისო არბიტრაჟის სიახლეები, ტენდენციები და საქმეები, 2013 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <http://www.hlarbitrationlaw.com/2013/12/miami-an-international-arbitration-court-of-its-own/>, (ბოლოს ნანახია 2017 წლის 17 თებერვალს).

<sup>11</sup> იგივე.

<sup>12</sup> იგივე.

<sup>13</sup> იგივე.

<sup>14</sup> ლეონი ბ., გახვადოთ თუ არა სპეციალიზებული: როგორ უნდა გაუმკლავდნენ ეროვნული სასამართლოები საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის საქმეებს? კლუვერის არბიტრაჟის ბლოგი, 2010 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <http://kluwerarbitrationblog.com/2010/09/02/to-specialize-or-not-how-should-national-courts-handle-international-commercial-arbitration-cases/>, (ბოლოს ნანახია 2017 წლის 17 თებერვალს).

საძლებელია მისი გავრცელება ეროვნულ დავებზეც. ტიპური სფეროები, რომლებიც სპეციალიზებული სასამართლოს იურისდიქციაში შევა, არის სააღსრულებო წარმოება, არბიტრების დანიშვნა-გამოწვევა და დროებითი ღონისძიებების გატარება.

## 2.2. სამართალწარმოება ინგლისურად

საერთაშორისო კომერციულ ტრანზაქციებსა და დავებში, როგორც წესი, მონაწილეობენ სხვადასხვა ეროვნების მხარეები სხვადასხვა ქვეყნიდან. საერთაშორისო კომერციული კონტრაქტების უმრავლესობა შესრულებულია ინგლისურ ენაზე. გარდა ამისა, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ძირითადი ენა ინგლისურია. შვეიცარიის პალატების საარბიტრაჟო ინსტიტუტის (SCAI) სტატისტიკის მიხედვით, 2014-2015 წლებში, საქმეების 67% განიხილეს ინგლისურ ენაზე.<sup>15</sup> შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი საერთაშორისო ბიზნესი ინგლისურად საუბრობს.<sup>16</sup>

ამრიგად, უსაფუძვლო არ იქნება იმის თქმა, რომ ინგლისურ ენაზე სამართალწარმოება სპეციალიზებულ საარბიტრაჟო სასამართლოში ხელს შეუწყობს, რომ მხარეებმა საქართველო აირჩიონ არბიტრაჟის ადგილმდებარეობად. როგორც წესი, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შედეგს წარმოადგენს ათობით გვერდისაგან შემდგარი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის ანდა მის აღსრულებაზე შედაგებისათვის მხარეებს მოეთხოვებათ ყველა ამ დოკუმენტის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და სასამართლოსათვის წარდგენა. აღნიშნული პროცესი მოითხოვს დიდ დროსა და ხარჯებს. ინგლისურ ენაზე სამართალწარმოება დიდწილად, გაამარტივებდა პროცესს სპეციალიზებულ სასამართლოში.

ინგლისურენოვანი სასამართლო პროცესები არაინგლისურენოვან ქვეყნებში არ არის ახალი ფენომენი. ნიდერლანდები ამჟამად კომერციული სასამართლოს შექმნის პროცესშია, სადაც სამართალწარმო-

<sup>15</sup> შვეიცარიის პალატების საარბიტრაჟო ინსტიტუტი, არბიტრაჟის სტატისტიკა, 2015 წ., ხელმისაწვდომია: <https://www.swissarbitration.org/files/515/Statistics/Commented%20Statistics%202015%20final%2020160810.pdf>

<sup>16</sup> ნილი ტ., გლობალური ბიზნესი საუბრობს ინგლისურად, ჰარვარდის ბიზნეს მიმობილვა, 2012 წლის მაისი, ხელმისაწვდომია: <https://hbr.org/2012/05/global-business-speaks-english> (ბოლოს ნანახია 2017 წლის 17 თებერვალს).



ება ჩატარდება ინგლისურ ენაზე, როგორც საოლქო, ასევე სააპელაციო დონეზე.<sup>17</sup> ამბობენ, რომ ინგლისური გახდა არა მარტო საერთაშორისო ტრანზაქციების წამყვანი ენა, არამედ აგრეთვე, უამრავი ადგილობრივი ფირმისათვის, რომლებიც საერთაშორისო ჯაჭვის წევრები არიან ან ახორციელებენ ბიზნესს უცხოურ კომპანიებთან ერთად.<sup>18</sup> დუბაიში შეიქმნა ინგლისურენოვანი კომერციული სასამართლო, რომელიც ეხმარება ქვეყანას გახდეს შუა აზიაში საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის ცენტრი.<sup>19</sup> შესაბამისად, ინგლისურენოვანი მოსამართლეების არჩევა და სამართალწარმოებაში ინგლისური ენის დანერგვა სპეციალიზებულ საარბიტრაჟო სასამართლოში იქნება მნიშვნელოვანი უპირატესობა მხარეებისათვის და საქართველოში არბიტრაჟის არჩევის დიდი წახალისება.

### 2.3. კვალიფიციური უცხოელი იურისტების პრაქტიკა

კიდევ ერთი გზა, რომ საქართველო გახდეს საერთაშორისო კომერციული დავების რეგიონული ცენტრი, არის კვალიფიციური უცხოელი იურისტებისათვის სპეციალიზებულ საარბიტრაჟო სასამართლოში საქმიანობის უფლების მინიჭება გარკვეული შეზღუდვებით, რაც გაწერილი იქნება შესაბამის კანონმდებლობაში. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მათ ექნებათ ქართულ სამართალში პრაქტიკის უფლება. მათი საქმიანობა შემოიფარგლება საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის გარკვეული ასპექტებით, როგორცაა აღსრულების პროცედურები, დროებითი ღონისძიების მოთხოვნა და არბიტრების არჩევა.

ერთი შეხედვით, ეს იდეა შეიძლება იყოს არაგონივრული და შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოში მოქმედი იურისტების წინააღმდეგობა, მაგრამ ამას შეიძლება ჰქონდეს კარგი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა,

---

<sup>17</sup> დე რაუტერი ბ. ადრიან, ნიდერლანდების კომერციული სასამართლო გზაში: ნიდერლანდები, როგორც საერთაშორისო კომერციული დავების ცენტრი, კენედი ვან დერ ლაანი, 2016 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://kvd1.com/news/the-netherlands-commercial-court-is-on-its-way/>, (ბოლოს ნანახია 2017 წლის 17 თებერვალს).

<sup>18</sup> Ibid.

<sup>19</sup> Money for old laws, The Economist Newspaper Limited, 14 December 2013, <http://www.economist.com/news/business/21591583-new-international-courts-dubai-are-giving-british-legal-firms-boost-money-old-laws>, (ბოლოს ნანახია 2017 წლის 17 თებერვალს).



ეს შესაძლებლობა საერთაშორისო სამართლის ფორმებს მოიზიდავს ქართულ ბაზარზე, რაც კარგია ქართველი იურისტების დასაქმების პერსპექტივებისათვის. ამ დროისთვის, მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო იურიდიული ფირმა ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე. გარდა ამისა, ეს რეფორმა გაზრდის კონკურენციას ადგილობრივ და საერთაშორისო იურიდიულ ფირმებს შორის და ხელს შეუწყობს ადგილობრივ ფირმებს, რომელთაც ამ ეტაპზე არ აქვთ გამოცდილება ამ სფეროში, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში. მსგავსი იდეა ასევე ხორციელდება სინგაპურის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში.<sup>20</sup> საქართველოს სჭირდება ასეთი ცვლილებები, რათა წამყვანი საარბიტრაჟო იურიდიული ფირმებისა და პრაქტიკოსებისთვის თავი წარმოაჩინოს მომგებიან ბაზრად.

### 3. საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოში არსებული სამართლებრივი გარემო არბიტრაჟისადმი კეთილგანწყობილია. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ეფუძნება UNCITRAL-ის სამართლის მოდელს. გარდა ამისა, საქართველო არის ნიუ იორკის კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფო. თუმცა, თუ საქართველოს აქვს ამბიციის, გახდეს რეგიონული ცენტრი კომერციული დავების გადაწყვეტისთვის, ცოტა უფრო მეტის განხორციელებაა საჭირო. გთავაზობთ სამ ცვლილებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობაში, კერძოდ, კომპეტენცია-კომპეტენციის პრინციპის განხორციელება სრული მოცულობით; ცვლილებები საარბიტრაჟო შეთანხმების ვალიდურობის მოთხოვნასთან; და გაუქმების პროცედურის მოდიფიკაცია.

<sup>20</sup> ჰენდერსონი ა., თონგაკაძე ს., ახალი ზღვარი: სინგაპური ამუშავებს სინგაპურის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოს სინგაპურში დავების გადასაწყვეტად, ჰერბერტ სმიტ ფრიჰილსის ამის დავების ჩანაწერები, 2015 წლის 6 იანვარი, ხელმისაწვდომია: <http://hsfnotes.com/asiadisputes/2015/01/06/the-new-frontier-singapore-launches-the-singapore-international-commercial-court-offering-a-new-forum-for-dispute-resolution-in-singapore/>, (ბოლოს ნანახია 2017 წლის 17 თებერვალს).

### 3.1. კომპეტენცია-კომპეტენციისთვის პრინციპის სრული ეფექტი

კომერციული არბიტრაჟის ერთ-ერთი ქვაკუთხედი პრინციპია *კომპეტენცია-კომპეტენციისთვის* პრინციპი.<sup>21</sup> აღნიშნულ პრინციპს აქვს ორი შედეგი – დადებითი და უარყოფითი.<sup>22</sup> კომპეტენცია-კომპეტენციისთვის პრინციპის დადებითი შედეგის გათვალისწინებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია განსაზღვროს საკუთარი იურისდიქცია.<sup>23</sup> არსებობს მოსაზრება, რომ ეს პრინციპი არის ნებისმიერი ტრიბუნალის თანდაყოლილი უფლებამოსილება.<sup>24</sup> რაც შეეხება უარყოფით შედეგს, ეროვნულმა სასამართლომ უნდა დათმოს იურისდიქცია იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება.<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური ეფექტი ფართოდ აღიარებულია, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის მიერ, ნეგატიური ეფექტი, როგორც წესი, იგნორირებულია, გარდა მეტნაკლებად წამყვანი საარბიტრაჟო იურისდიქციის მიერ. ამ თვალსაზრისით, საფრანგეთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია.

*კომპეტენცია-კომპეტენციისთვის* პრინციპი განსაზღვრულია საფრანგეთის 2011/48 დადგენილების 1448-ე მუხლით.<sup>26</sup> აღნიშნული მუხლის მიხედვით, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებას დაქვემდებარებულ დავას განიხილავს სასამართლო, ის დათმობს მის იურისდიქციას.<sup>27</sup> ამ პარაგრაფის მეორე წინადადების თანახმად, თუ ტრიბუნალი არ არის შექმნილი, სასამართლო დათმობს იურისდიქციას გარდა იმ შემთხვევისა, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება აშკარად ბათილია ან არ გამოიყენება.<sup>28</sup> ცხადია, რომ 1448-ე მუხლი

<sup>21</sup> ჯეი. ემ. გრეივისი და უაი დევიდანი, კომპეტენტურობა-კომპეტენცია და გამიჯვნადობა – ამერიკული სტილი, ეს. კროლი, ელ. ეი. მისტელისის გამოცემა, საერთაშორისო არბიტრაჟი და საერთაშორისო კომერციული სამართალი: სინერგია, შერწყმა და ევოლუცია, კლუვერსი საერთაშორისო სამართალი, 2011 წ, გვ. 157.

<sup>22</sup> ჯი. კაუფმან-კოლერი და ა. რიგოცი, საერთაშორისო არბიტრაჟი – სამართალი და პრაქტიკა შვეიცარიაში, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2015 წ, პარაგრაფი 5.06 იგივე.

<sup>23</sup> არბიტრაჟი ხორვატიის რესპუბლიკასა და სლოვენის რესპუბლიკას შორის, ნაწილობრივი დაკმაყოფილება, 2015 წლის 30 ივლისი, პარაგრაფი 103.

<sup>25</sup> ე. გაილარდი და უაი ბანიფატემი, კომპეტენცია-კომპეტენციისთვის პრინციპის უარყოფითი შედეგი: პრიორიტეტულობის პრინციპი არბიტრების სასარგებლოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებებისა და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება – ნიუ იორკის კონვენცია პრაქტიკაში, გვ. 259.

<sup>26</sup> 2011 წლის 13 იანვრის N. 2011-48 დადგენილების 1448-ე მუხლი.

<sup>27</sup> იგივე.

<sup>28</sup> იგივე.

შეეხება ორ სიტუაციას: როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალები უკვე გამო-  
ყენებულია და მხარე მიმართავს სასამართლოს, და როდესაც საარბიტ-  
რაჟო ტრიბუნად ჯერ არ არის დაარსებული. პირველ შემთხვევაში, კანონი  
საარბიტრაჟო ტრიბუნას აბსოლუტურ პატივისცემას უცხადებს. არ შეიძლე-  
ბა იყოს რაიმე ტიპის გადახედვა, მათ შორის არც *prima facie*.<sup>29</sup> აღნიშნული  
მიდგომა უფრო შორს მიდის, ვიდრე ეს მოთხოვნილია ნიუ იორკის კონვენ-  
ციის II.3-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც მხარეების მიმართვა უნდა მოხ-  
დეს არბიტრაჟში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეთანხმება ბათილი ან და-  
ლადაკარგულია.<sup>30</sup> რაც შეეხება მეორე სიტუაციას, ფრანგული სამართალი  
მოიხსენიებს აშკარად ბათილ და მიუსადაგებელ საარბიტრაჟო შეთანხმე-  
ბას. 2001 წელს, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ *კომპეტენცია-კომ-  
პეტენციის* პრინციპი უკრძალავს ფრანგ მოსამართლეს საარბიტრაჟო  
შეთანხმების სრულ და შინაარსობრივ განხილვას, არბიტრაჟის ადგილსამ-  
ყოფელის მიუხედავად.<sup>31</sup> როგორც ჩანს, ფრანგული კანონმდებლობა უშ-  
ვებს საარბიტრაჟო პროცესის მაქსიმალურ დაცვასა და ავტონომიას.

საქართველოს კანონმდებლობა სრულად არ აღიარებს *კომპეტენცია-  
კომპეტენციის* პრინციპის უარყოფით შედეგს. „არბიტრაჟის შესახებ“  
საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ადგენს, რომ სასამართლომ უნდა  
დათმოს იურისდიქცია არბიტრაჟის სასარგებლოდ, თუ ის ვერ ხედავს,  
რომ ხელშეკრულება ბათილი, ძალადაკარგული ან ქმედუუნაროა. ეს  
მუხლი ასახავს UNCITRAL-ის სამართლის მოდელის მე-8 მუხლს და ნიუ  
იორკის კონვენციის II.3-ე მუხლს. თუმცა, პრობლემა იმაშია, რომ აღნიშ-  
ნული მუხლი არ ეხება ტექსტს, რომელიც სასამართლომ გამოიყენა იმის  
განსასაზღვრად, არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი, და-  
ლადაკარგული ან არააღსრულებადი.<sup>32</sup> აღნიშნული მუხლის თანახმად  
ნათელია, რომ სასამართლომ აქვს შესაძლებლობა მოახდინოს საქმის  
სრულფასოვანი განხილვა, რაც იქნება *კომპეტენცია-კომპეტენციის*  
პრინციპის საწინააღმდეგო. აღნიშნული გააუმჯობესებს საარბიტრაჟო  
პროცესის ერთიანობას და ხელს შეუშლის მხარეების მავნებლურ საქცი-

---

<sup>29</sup> ბრეკოულაკისი ს., *კომპეტენცია-კომპეტენციის* პრინციპის უარყოფითი შედეგი: ვერდიქტი უნდა იყოს უარყოფითი, ავსტრიის არბიტრაჟის ყოველწლიური გამოცემა, 2009 წ., გვ. 240.

<sup>30</sup> ნიუ იორკის კონვენციის II.3-ე მუხლი.

<sup>31</sup> გადაწყვეტილება Cass, le civ., 2001 წ. 26 ივნისი, American Bureau of Shipping (ABS) v. Copropriété Maritime Jules Vern, ციტირებული: გაილარდი და ბანიფატემი, გვ. 264.

<sup>32</sup> გაილარდი და ბანიფატემი, გვ. 258.

ელებს, თუ კანონმდებლობა განახორციელებს მსგავს დებულებას, როგორც მოიპოვება საფრანგეთის 2011-48 დებულების 1448-ე მუხლში.

### 3.2. საარბიტრაჟო შეთანხმების კანონიერება

საარბიტრაჟო შეთანხმება ძალაშია, თუ იგი შეესაბამება ფორმალურ და არსებით კანონიერებას.<sup>33</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის წერილობით მოთხოვნას. რაც შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით კანონიერებას, სამი კრიტერიუმის იდენტიფიცირება შეიძლება კანონის მე-8 მუხლში: დავების არბიტრაჟისათვის გადაცემის განზრახვა; საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები; და განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი მოთხოვნა UNCITRAL-ის სამართლის მოდელის მსგავსია. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებას შეიძლება ჩამოშორდეს ნებისმიერი ფორმალური მოთხოვნა. საერთაშორისო კომერციული საჭიროებების გაანალიზებით, ფრანგულმა კანონმდებლობამ, ადგილობრივი არბიტრაჟისაგან განსხვავებით, გაათავისუფლა საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებები ნებისმიერი ფორმალური მოთხოვნებისაგან.<sup>34</sup> აღნიშნულით, ფრანგულმა სამართალმა არჩია მიდგომა, რომელიც უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნიუ იორკის კონვენციით გათვალისწინებული მიდგომა, რომელიც მოითხოვს საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობით ფორმას.<sup>35</sup> თუმცა, ეს ვერ იქნება ნიუ იორკის კონვენციის დარღვევა, ვინაიდან VII მუხლი უშვებს უფრო ხელსაყრელი ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას. მსგავსი მიდგომის გამოყენება ქართულ კანონმდებლობაშიც შეიძლება. წერილობითი მოთხოვნის გაუქმება ხელს არ შეუშლის საარბიტრაჟო პროცესს. ეს უბრალოდ ხაზს უსვამს სასამართლოს ნაცვლად, საკითხის საარბიტრაჟო წესრიგით გადაწყვეტის მზადყოფნის მნიშვნელობას ფორმალური დეფექტების გათვალისწინებით.

<sup>33</sup> ნ. ბაკაბი et al, რედფერნი და ჰანტერი საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ (მე-6 გამოცემა), ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2015 წ, პარაგრაფი 2/13.

<sup>34</sup> 2011-48 დადგენილების 1507-ე მუხლი.

<sup>35</sup> ნიუ იორკის კონვენციის II მუხლი.

რაც შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით ვალიდურობას, ქართულმა კანონმდებლობამ მხედველობაში უნდა მიიღოს შვეიცარიის მიდგომა. საერთაშორისო კერძო სამართლის ფედერალური აქტის (PILA) 178.2-ე მუხლი განსაზღვრავს *in favorem validitatis* სამართლის კონფლიქტის დებულებას.<sup>36</sup> აღნიშნული მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო ხელშეკრულება ვალიდურია, თუ ის შესაბამისობაშია მხარეების მიერ არჩეულ სამართალთან, საკითხის მარეგულირებელ სამართალთან ან შვეიცარიის კანონმდებლობასთან.<sup>37</sup> აღნიშნული მუხლი ნათლად ადგენს არბიტრაჟის სასარგებლო წესს და საქართველომ მისგან მაგალითი უნდა აიღოს. ეს მიდგომა ამკვიდრებს არბიტრაჟისათვის უფრო ხელსაყრელ რეჟიმს, ვინაიდან ის ზრდის საარბიტრაჟო შეთანხმების კანონიერების პერსპექტივას.<sup>38</sup> ქართული კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების უკანონობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმებას კვლავ ექნება გადარჩენის შანსი, მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ან დავის საკითხის მარეგულირებელი სამართლის მიხედვით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი ნაკლებად სასარგებლო იქნება, თუ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმების კანონიერების შესახებ კითხვა. ეს მუხლი ასახავს UNCITRAL-ის სამართლის მოდელის 28-ე მუხლს, რომელიც ნათლად ეხება დავის შინაარსის განმსაზღვრელ სამართალს და არა იურისდიქციის საკითხებს.<sup>39</sup>

### 3.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გამოწვევები

რამდენადაც ფრანგული სამართალი მაქსიმალურ თავისუფლებას და პატივისცემას ანიჭებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს, სასამართლო იტოვებს უფლებამოსილებას გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.<sup>40</sup> კანონის თანახმად, გაუქმების პროცედურისას, სასამართლო მოახდენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სრულ გადასინჯვას, ფაქტებისა და სამართლის თვალსაზრის-

<sup>36</sup> კაუფმან-კოლერი და რიგოცი, პარაგრაფი 3.30.

<sup>37</sup> იგივე.

<sup>38</sup> იგივე, პარაგრაფი 3.76.

<sup>39</sup> UNCITRAL, 2012 წლის სასამართლო პრაქტიკის დაიჯესტი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე, გვ. 121.

<sup>40</sup> N2011-48 დადგენილების 1520-ე მუხლი.

<sup>41</sup> ფ. გერნდ ვაიგანდი, პრაქტიკოსის სახელმძღვანელო საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, მეორე გამოცემა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2009 წ., გვ. 6.

სით.<sup>41</sup> ეს პროცესი უზრუნველყოფს ბალანსს საარბიტრაჟო პროცესის სრულ ავტონომიასა და მართლმსახურების სათანადო ადმინისტრირებას შორის.

ფრანგული სამართალი უფლებას აძლევს მხარეებს დათმონ გაუქმებული მოთხოვნის წამოწევის უფლება.<sup>42</sup> შესაბამისი მუხლის მოთხოვნის თანახმად, უფლების ამგვარი დათმობა ნათლად უნდა იყოს გამოცხადებული. შვეიცარიისგან განსხვავებით, სადაც არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი შვეიცარიაში, რათა შეეძლოთ სრულად დათმონ ანულირების უფლება, ზემოაღნიშნულ ფრანგულ დებულებაში მსგავსი ნორმა არ არის.<sup>43</sup> თუ მხარეები დათმობენ გაუქმების უფლებას, მათ კვლავ შეუძლიათ შეინარჩუნონ აღსრულების ბრძანების გასაჩივრების უფლება, თუ იგი კომპეტენტური სასამართლოს მიერ არის გამოცემული.<sup>44</sup> გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის ცვლილებებმა შემოიღო ესტოპელის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ თუ მხარე დროულად ვერ შეძლებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე დარღვევაზე შეწინააღმდეგებას, იგულისხმება, რომ მან დათმო ეს უფლება.<sup>45</sup>

აღნიშნული დებულებები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ერთი მხრივ, კანონი მხარეებს მაქსიმალურ ავტონომიას ანიჭებს გაუქმების პროცედურის დათმობასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ტოვებს წაგებულ მხარეს რაიმე დაცვის გარეშე, რამდენადაც მხარეს კვლავ შეუძლია აღსრულების ბრძანების გასაჩივრება.

წინამდებარე სტატიაში შემოთავაზებულია, რომ ქართულმა კანონმდებლობამ მხარეებს უნდა მიანიჭოს გაუქმების პროცედურის დათმობის უფლება. მსგავსი უარი ნათლად უნდა იყოს გამოხატული მათ შეთანხმებაში. შვეიცარიის კანონმდებლობის მსგავსად, შესაძლებელია არსებობდეს ნორმატიული მოთხოვნა, რომ უარი დასაშვები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთი მხარის საცხოვრებელი არ არის საქართველოში. გარდა ამისა, თუ მხარე გამოიყენებს უარს, უნდა არსებობდეს აღსრულების ბრძანების გასაჩივრების პროცედურა.

---

<sup>42</sup> 2011-48 დადგენილების 1522-ე მუხლი.

<sup>43</sup> PILA-ს 192-ე მუხლი.

<sup>44</sup> 2011-48 დადგენილების 1522-ე მუხლი.

<sup>45</sup> 2011-48 დადგენილების 1466-ე მუხლი.

## 4. საარბიტრაჟო დაწესებულება

მესამე, ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის რეგიონული ცენტრი, არის საარბიტრაჟო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო დავების ადმინისტრირება. ამგვარად მოხდა სინგაპურსა და ჩინეთში, სადაც SIAC-მა და CIETEC-მა დაამტკიცეს, რომ იყვნენ უმაღლესი ხარისხის საარბიტრაჟო ინსტიტუციები. ამ მხრივ, საქართველოში უკვე არსებობს ამგვარი უწყება, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ადმინისტრირება, კერძოდ, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (GIAC). იგი დაარსდა რამდენიმე წლის წინათ და არის ერთადერთი დაწესებულება საქართველოში, რომელსაც აქვს საერთაშორისო დავების ადმინისტრირების უნარი. დაწესებულების შინაგანაწესი ასახავს საერთაშორისო არბიტრაჟის თანამედროვე პრაქტიკას და საფასური შედარებით დაბალია, ვიდრე სხვა იურისდიქციების წამყვან საარბიტრაჟო დაწესებულებებში.

## 5. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს შესაძლებლობები, გახდეს საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის რეგიონული ცენტრი. სასამართლო სისტემაში უნდა გატარდეს ძირითადი რეფორმები, ვინაიდან ქართულ სასამართლოებს არ აქვთ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ცოდნა და გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ასახავს UNCITRAL-ის სამართლის მოდელს და არბიტრაჟისადმი კეთილგანწყობილია, შესაძლებელია რამდენიმე ცვლილების შეტანა, რათა მეტად ჩამოყალიბდეს არბიტრაჟის მომხრე იურისდიქცია. ზემოაღნიშნული რეფორმების გარდა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის სტიმული, როგორცაა მაგალითად, საგადასახადო შეღავათები არბიტრებისათვის ან სპეციალური პალატის შექმნა საარბიტრაჟო მოსმენებისათვის, როგორცაა მაქსველის პალატები სინგაპურში. ამგვარი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის რეგიონული ცენტრი. ■



# კორუფციასთან დაკავშირებული მაგალითები საერთაშორისო არბიტრაჟში: საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებების სასამართლო გადასინჯვის დასაშვები ფარგლები გაუქმებისა და აღსრულების ეტაპებზე\*\*

## 1. შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებების სასამართლო მოკვლევის მოცულობასთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლოების განსხვავებული მიდგომების ილუსტრირება და ორი კონკურენტი მსჯელობის დაბალანსებისათვის ყველაზე შესაბამისი მიდგომის იდენტიფიცირება: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოოობის პრინციპი და საერთაშორისო ვაჭრობაში კორუფციის აღმოფხვრა. აღნიშნული სტატია აგრეთვე, მიმოიხილავს ინტერვენციის სტანდარტებს, რომელსაც უპირატესობა ენიჭება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, საკუთარ გადაწყვეტილებებში გამოვლენილ ტენდენციებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, სტატია მოიცავს კანონმდებლობის ანალიზს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების გამოტანისას და აღნიშნული გამო-

\* იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

\*\* სტატია თარგმნილია ინგლისურიდან.

ყენების მიზანშეწონილობისა და სიზუსტის ანალიზს, 2003 წლიდან გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მაგალითზე.

საერთაშორისო არბიტრაჟი დიდი ხანია საერთაშორისო დავების მოგვარების საშუალებად განიხილება. როგორც ერთმა ავტორმა აღნიშნა: „კომერციული არბიტრაჟი არსებობს ვაჭრობის დასაბამიდან.“<sup>1</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს, კომერციული და საინვესტიციო დავების გადაწყვეტისას, ხშირად უწევთ განიხილონ კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები.

კორუფცია ყვავის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში და აღნიშნული პრობლემა რთულდება. შედეგები მძიმე და დრამატულია. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ კორუფციას ყველა ცივილიზებული ერი გმობს. ბოლო წლებში, მრავალი სახელმწიფო შეუერთდა მრავალმხრივ კონვენციებს, რომლებიც გმობენ უკანონო კონტრაქტებს, საჯარო მოხელეების მოსყიდვასა და კორუფციის სხვა ფორმებს.<sup>2</sup>

შესაბამისად, არსებობს ერთსულოვნება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კორუფცია არღვევს საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. საჯარო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა არბიტრაჟის გადაწყვეტილებების გაუქმების ან აღიარებასა თუ აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებების სასამართლო მოკვლევის მოცულობასთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლოების განსხვავებული მიდგომების ილუსტრირება და ორი კონკურენტი მსჯელობის დაბალანსებისათვის ყველაზე შესაბამისი მიდგომის იდენტიფიცირება: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი და საერთაშორისო ვაჭრობაში კორუფციის აღმოფხვრა.

<sup>1</sup> ლორდ მასტილი, არბიტრაჟი: ისტორია; საერთაშორისო არბიტრაჟის ჟურნალი, 1989, მე-1 ნომერი, მე-2 საკითხი, გვ. 43.

<sup>2</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 1997 წლის კონვენცია უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვის წინააღმდეგ; გაერთიანებული ერების 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

## 2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების სასამართლო გადასინჯვის დასაშვები ფარგლები გაუქმებისა და აღსრულების ეტაპებზე

საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია გააუქმოს ან უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე, თუ არსებობს საერთაშორისო არბიტრაჟის წესებით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი. ნიუ იორკის კონვენციის V(2)(ბ) მუხლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის სამართლის მოდელის 36(1) მუხლის თანახმად:

*საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარებასა თუ აღსრულებაზე უარი დასაშვებია, თუ იმ ქვეყნის კომპეტენტური უწყება, რომელშიც მოთხოვნილია აღიარება და აღსრულება, დაადგენს, რომ: გადაწყვეტილების აღიარება ან აღსრულება აღნიშნული ქვეყნის საჯარო პოლიტიკას ეწინააღმდეგება.<sup>3</sup>*

ანალოგიურად, UNCITRAL-ის სამართლის მოდელის 34(2)(ბ)(ii) მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმება შესაძლებელია საჯარო პოლიტიკის საფუძველზე. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მაინც აღასრულოს გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული გულისხმობს საჯარო პოლიტიკასთან წინააღმდეგობას. სასამართლოს აქვს დისკრეცია განსაზღვროს უკანონობის ხასიათი, მნიშვნელობა და გადაწყვეტოს, გონივრულია თუ არა არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>4</sup> აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებისას წარმოიშობა ორი კონკურენტული მოსაზრება: სასამართლოს მდებარეობის, ქვეყნის საჯარო პოლიტიკის ინტერესების დაცვა; და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პატივისცემა. ამ ორ მოსაზრებას შორის არჩევანის გაკეთება მოიცავს რამდენიმე ყურადსაღებ კომპრომისს.

<sup>3</sup> ნიუ იორკის კონვენცია, 198, მუხლი V(2)(ბ); UNCITRAL-ის სამართლის მოდელი, 2006, მუხლი 36(1).

<sup>4</sup> ტაკაჰაში, კოჯი, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების იურისდიქცია კერძოდ, უკანონო კონტრაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების: ინდოეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სარისკო გლობალურ ინჟინერიაში; საერთაშორისო არბიტრაჟის ამერიკული მიმოხილვა, 2008, Vol. 19, 1 საკითხი, გვ. 183.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი აისახება ეროვნულ და საერთაშორისო საარბიტრაჟო წესების უმეტესობაში.<sup>5</sup> ეს პრინციპი ნათლად ასახავს საერთაშორისო არბიტრაჟის სულისკვეთებას; კერძოდ, დავა გადაწყდეს ერთჯერადად, გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე. საბოლოობის პრინციპის დაცვას რამდენიმე უპირატესობა აქვს: არბიტრაჟში უკვე დამტკიცებული არსებითი მხარის თავიდან განხილვის აცილება; საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით დავების გადაწყვეტის განჭვრეტადობის ზრდა; გადაწყვეტილებების საერთაშორისო აღიარების პრინციპის შენარჩუნება; საგარეო და ტრანსნაციონალური ტრიბუნალის შესაძლებლობების პატივისცემა.<sup>6</sup> მეორე მხრივ, საჯარო პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფო ინტერესის ფართო სპექტრს და გადის პოლიტიკის მიზნების ფარგლებს მიღმა, გადაწყვეტილების საბოლოობის შენარჩუნების ხაზგასმით. წინამდებარე მიზნებისათვის, საჯარო პოლიტიკის ყველაზე შესაბამისი და მნიშვნელოვანი გამოვლინება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გადაწყვეტილების საბოლოობასთან, არის იმ კონტრაქტების აკრძალვა, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობას და/ან არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, როგორცაა მექრთამეობისა და კორუფციის სხვა ფორმების ამკარად შემცველი ხელშეკრულებები. ამიტომ გასაგებია, რომ ეროვნული სასამართლოები, როგორც წესი, თავს იკავებენ შეთანხმებების აღსრულებაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება ადგილმდებარეობას, სახელმწიფოს ძირითად ინტერესებსა და ფუნდამენტურ მორალურ ღირებულებებს და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის სამართლიანი კონკურენციისა და პატიოსნების პრინციპებს საჯარო ადმინისტრირებაში.<sup>7</sup>

ორი კონკურენტი მოსაზრების განხილვისას, გადაწყვეტა აქვთ თუ არა სასამართლოებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება, თუ ვალდებულნი არიან თავისი გადაწყვეტილებები დააფუძნონ საარბიტრაჟო განხილვისას მიღებულ დასკვ-

<sup>5</sup> გერმანიის საარბიტრაჟო სამართალი, 1998, 1055-ე სექცია; შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის ფედერალური კანონი, 1987, 190-ე მუხლი; ინგლისური საარბიტრაჟო აქტი, 1996, 98-ე სექცია.

<sup>6</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, 83-1569, „მცხუბიში მოტორს კორპორაცია სოლერ კრასსლერ ფლაიმანუსის წინააღმდეგ,“ 1985.

<sup>7</sup> მაიკლ ვანგი და კევინ ლი, კორუფცია არბიტრაჟში: სამართალი და რეალობა, ჰერბერტ სმიტის ამიის არბიტრაჟში წარმოდგენილი სტატია, 2011 წლის აგვისტო, სინგაპური, იხ. 25-ე სქოლიო, გვ. 1.

ნებზე. პრაქტიკაში, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია და კორუფცია არ არის აღმოჩენილი, უკმაყოფილო მხარე როგორც წესი, სადავოდ ხდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას შემდეგი საფუძვლებით: კორუფციის შესაბამისი მტკიცებულებების აღმოჩენა მოხდა საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდეგ; საარბიტრაჟო სასამართლომ სათანადოდ არ განიხილა კორუფციის დამადასტურებელი მტკიცებულება ან კორუფციისა და უკანონობის განმსაზღვრელი კანონი სწორად არ გამოიყენა. ზოგჯერ ერთი და იმავე იურისდიქციას მიკუთვნებული სასამართლოებიც სხვადასხვა მიდგომას იყენებენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების, სასამართლო გადასინჯვის მოცულობასთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო განხილვის მიმართ მიდგომები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: i) მინიმალური სასამართლო განხილვა; ii) მაქსიმალური სასამართლო განხილვა; iii) კონტექსტური სასამართლო განხილვა.<sup>8</sup>

## 2.1. მინიმალური სასამართლო განხილვა

მინიმალური სასამართლო განხილვის სასამართლოები როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან შეისწავლონ და თავიდან განიხილონ კორუფციის მტკიცებულებები გადაწყვეტილების გამომტანი არბიტრების ნაცვლად. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, მინიმალური სასამართლო განხილვის მიდგომის გამოყენებით სასამართლოებმა შესაძლოა თავიდან გამოიძიონ კორუფციის საკითხი და, შესაბამისად, თავიდან შეისწავლონ გადაწყვეტილების დასკვნები კანონსა და ფაქტებზე.<sup>9</sup>

წინამდებარე სტატია აანალიზებს სიტუაციებს, სადაც მოცემულმა სასამართლომ გამოავლინა ტრიბუნალის გადაწყვეტილების პატივისცემის მაღალი დონე და შესაბამისად, დაამტკიცა აღნიშნული გადაწყვეტილება. საქმე *ნორსროპი ტრიადის წინააღმდეგ*<sup>10</sup> წარმოადგენს მინიმალური

<sup>8</sup> საიედ აბდული, კორუფცია საერთაშორისო ვაჭრობასა და კომერციულ არბიტრაჟში, კლუვერის საერთაშორისო სამართალი, ჰააგა, 2004, გვ. 391-421.

<sup>9</sup> Herbst Ragnar, Korruption und Andere Ordre Public-Verstöße als Einwände im Schiedsverfahren – Inwieweit Sind Staatliche Gerichte an Sachverhaltsfeststellungen des Schiedsgerichts Gebunden, Zeitschrift für Schiedsverfahren 2007, Vol. 17, Issue 1, გვ. 26.

<sup>10</sup> ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლო, კალიფორნია, CV83-7945, Northrop Corp. v Triad Financial Establishment, 1984.

სასამართლო განხილვის მიდგომის კონკრეტული ასპექტის შესაბამის ილუსტრაციას.

ასეთ შემთხვევაში, თავდაცვის ამერიკულმა კომპანიამ Northrop Corporation-მა (Northrop), საუდის არაბეთის მთავრობისთვის სამხედრო აღჭურვილობისა და მასთან დაკავშირებული სარეზერვო სერვისების გაყიდვა მოითხოვა. აღნიშნული მიზნებისთვის, კომპანიამ გააფორმა საშუამავლო შეთანხმება ლიხტენშტეინში დაფუძნებულ ორ კომპანიასთან, რომლებიც სრულად იყო საუდის ცნობილი არაბი ბიზნესმენის, ბ-ნ ადნან ხაშოგის საკუთრებაში. დავა წარმოიშვა საშუამავლო მომსახურების გამოყენების გამო, რომლის საფასურის გადახდაც არ სურდა Northrop-ს. Northrop დავობდა, რომ საუდის განკარგულებით აკრძალული იყო სამხედრო ტექნიკის მიყიდვა საუდის მთავრობისათვის, რაც ნიშნავდა, რომ საშუამავლო ხელშეკრულება არ იყო აღსრულებადი. თუმცა, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საუდის განკარგულების გამოქვეყნების მიუხედავად, კალიფორნიის კანონმდებლობის მიხედვით (შესაბამისი კანონმდებლობა), Northrop ვალდებული იყო შეესრულებინა ხელშეკრულება. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შუამავლისათვის გადახდის აღსრულება დაადგინა. მიუხედავად იმისა, რომ Northrop-მა წარმატებით გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება ამერიკის სასამართლოში, მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლოს მეცხრე ოლქმა შეცვალა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ტრიბუნალის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა: „უბრალო შეცდომა კალიფორნიის კანონმდებლობის ინტერპრეტაციაში საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გაამართლოს არბიტრების გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარი... არბიტრების დასკვნები იურიდიულ საკითხებზე აქ პატივისცემია. იურიდიული საკითხები სრულად გააცნეს არბიტრაჟს და აღნიშნულზე სრულად იდავეს; არბიტრებმა ყურადღებით განიხილეს და გადაწყვეტილება წარმოადგინეს დიდ წერილობით მოსაზრებაში“.<sup>11</sup> აშკარაა, რომ სასამართლო მთლიანად ეყრდნობოდა ტრიბუნალის დასკვნებს და არ განიხილავდა შუამავლობის ხელშეკრულების უკანონობის საკითხს. ამდენად, აღნიშნული განაჩენი აჩვენებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოოობის პრინციპის პატივისცემის მაღალ ხარისხს.

<sup>11</sup> იგივე, პარაგრაფი 1269.

## 2.2. მაქსიმალური სასამართლო განხილვა

მაქსიმალური სასამართლო განხილვა განისაზღვრება, როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფაქტობრივი და კანონიერების კვლევის სრული მოკვლევა.<sup>12</sup> ამ მიდგომის გამოყენებისათვის სასამართლოების მთავარი გამართლებაა საჯარო პოლიტიკით გათვალისწინებული სახელმწიფო ღირებულებებისა და ინტერესების დაცვა.

მაქსიმალური სასამართლო განხილვის მიდგომის პირველი მთავარი მახასიათებელია ის, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დასკვნები შესაძლოა ხელახლა განიხილოს. სასამართლოს შეუძლია თავიდან შეაფასოს ფაქტებთან დაკავშირებული დასკვნები და შეამოწმოს კანონის არა მხოლოდ გამოყენებლობა, არამედ მისი არასწორი ინტერპრეტაცია.<sup>13</sup> აგრეთვე, სასამართლომ შესაძლოა განიხილოს მტკიცებულებები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო საარბიტრაჟო განხილვის დროს, მაგრამ ტრიბუნალის წინაშე არ წარუდგენია მოდავე მხარეს.<sup>14</sup> მესამე, სასამართლოს აქვს „მთლიანი კონტროლი“ ფაქტების შესახებ ბრალდებების განხილვის თაობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ბრალდება არბიტრაჟის მიერ იქნა უარყოფილი.

მაქსიმალური სასამართლო განხილვის მიდგომა მიღებულია მრავალ ევროპულ სასამართლოში, მათ შორის, ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოში, ჰააგის სააპელაციო სასამართლოში, დუსელდორფის უმაღლეს სასამართლოსა და გერმანიის ფედერალურ სასამართლოში. ყველა ამ სასამართლომ გაითვალისწინა მოსაზრება, რომ მათ უფლება აქვთ სასამართლოში განიხილონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

თუმცა, ბოლო დროს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ევროპული სასამართლოების სასამართლო დამოკიდებულება მაქსიმალური გადახედვის მიდგომაზე გარკვეულწილად შეიცვალა. მოცემული ნაშრომი ანალიზებს იმ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოებმა, რომლებიც ემხრობიან მაქ-

<sup>12</sup> საიედ აბდულაი, კორუფცია საერთაშორისო ვაჭრობასა და კომერციულ არბიტრაჟში, Kluwer Law International, ჰააგა, 2004, გვ. 406.

<sup>13</sup> იგივე, გვ. 407-408.

<sup>14</sup> ენონჩონგ ნელსონი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება უკანონო კონტრაქტების საფუძველზე: ლიონის საზღვაო და კომერციული სამართლის კვარტალური გამოცემა 2000, მე-20, გამოცემა 4, გვ. 514.



სიმაღურ სასამართლო განხილვის მიდგომას, არჩიეს არ გამოიყენონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „სრული კონტროლი“ და შესაბამისად, ფაქტებსა და სამართალზე ტრიბუნალის გადაწყვეტილების ხელახალი განხილვა არ განახორციელეს. აღნიშნული პრაქტიკის ილუსტრაციის მიზნით, წინამდებარე სტატია ანალიზებს პარიზის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკას. პარიზის სააპელაციო სასამართლოს წინააღმდეგობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ხელახალ განხილვაზე თარიღდება მისი გადაწყვეტილებით საქმეზე *SA Thales Air Défense v. Euromissile*,<sup>15</sup> სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო პოლიტიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია გადაწყვეტილების ხელახალი განხილვა თუ აღიარება, ან ამ გადაწყვეტილების აღსრულება „დარღვევს საფრანგეთის სამართლებრივ წესრიგს“ მიუღებელი წესით, „ასეთი დარღვევა წარმოადგენს არსებითი წესის ან ფუნდამენტური პრინციპების“ „მნიშვნელოვან დარღვევას.“<sup>16</sup> შესაბამისად, საფრანგეთში აღარ არის ერთსულოვანი მხარდაჭერა მაქსიმალური სასამართლო მიმოხილვის მიდგომისადმი.

ანალოგიურად, რამდენიმე საქმეში გერმანიის სასამართლოებმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე მაქსიმალური სასამართლო განხილვის განხორციელებაზე უარის თქმა არჩიეს. ჰამბურგის უმაღლეს საოლქო სასამართლოში მოდავე მხარე შვეიცარიის არბიტრაჟის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას ასაჩივრებდა იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულებით გადახდილი თანხა ქრთამს წარმოადგენდა და არა მომსახურების გადასახადს. თუმცა, ჰამბურგის უმაღლესმა საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს უფლებამოსილება არბიტრაჟის გადაწყვეტილების ხელახალი განხილვისთვის იყო შეზღუდული პროცედურული შეცდომებით და შესაბამისად, დაუშვებლად იქნა განხილული ტრიბუნალის დასკვნების ხელახალი განხილვა.<sup>17</sup>

იგივე მიდგომა დაამკვიდრა ბავარიის უმაღლესმა საოლქო სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ სასამართლოსათვის ზოგადად, აკრძალულია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მტკიცებულების საკუთარი მტკიცებულებით ჩანაცვლება. სასამართლომ აგრეთვე, ხაზი გაუსვა არბიტრაჟის

<sup>15</sup> პარიზის სააპელაციო სასამართლო, No. 2002/60932, *SA Thales Air Défense v. Euromissile*, 2002.

<sup>16</sup> ემანუელ გაილარდი, საჯარო პოლიტიკის სასამართლო განხილვის მოცულობა, ნიუ იორკის სასამართლოს ჟურნალი, 05.04.2007, გვ.3.

<sup>17</sup> ჰამბურგის უმაღლესი საოლქო სასამართლო, 6 U 110/97, 1998.

დამოუკიდებლობასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს.<sup>18</sup>

აქედან გამომდინარე, სასამართლოების მიერ სასამართლო განხილვის მიდგომები შეიძლება განსხვავდებოდეს იმავე იურისდიქციის სასამართლოებშიც კი.

### 2.3. კონტექსტუალური სასამართლო განხილვა

საჯარო პოლიტიკის ორ მნიშვნელოვან მოსაზრებას შორის – ერთი მხრივ, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შენარჩუნების თაობაზე და მეორე მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში კორუფციის აღმოფხვრის შესახებ ბალანსის დასაცავად, სასამართლოებმა უნდა განახორციელონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კონტექსტუალური სასამართლო განხილვა. კონტექსტუალური განხილვა არის ორეტაპიანი პროცესი, რომელიც მოიცავს სტრუქტურას, რომლის თანახმადაც, შესაძლებელია კონკურენტული მოსაზრებების დაბალანსება.<sup>19</sup>

კონტექსტუალური განხილვის წამყვანი ფორმა შემოთავაზებული იქნა საქმეში „სოლეიმანი სოლეიმანის წინააღმდეგ“ (*Soleimany v. Soleimany*), სადაც აღსრულების ეტაპზე ინგლისის სასამართლო ბეტ დინის გამოტანილი გადაწყვეტილების მიღმა გავიდა. სასამართლომ განიხილა ძირითადი კონტრაქტის კორუფციასა და უკანონობასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ უოლერ ელ ჯიმ გადაწყვეტილების გამოტანისას განმარტა, თუ როგორ უნდა განახორციელოს სასამართლომ იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მოკვლევა, სადაც არ ყოფილა აღმოჩენილი რაიმე სახის უკანონობა მხარეებს შორის გაფორმებულ კონტრაქტში. სასამართლომ მიიღო *obiter dictum* მოსაზრება, რომ იმისათვის, რომ მოხდეს საჯარო პოლიტიკის ორივე ზემოთ აღნიშნული მოსაზრების დაცვა, მიღებულ უნდა იქნას ორეტაპიანი პროცესი. პირველ ეტაპზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს, წარმოადგინა თუ არა მოსარჩელე მხარემ *prima facie* მტკიცებულება ხელშეკრულების უკანონობასთან დაკავშირებით და შემდეგ, სასამართლომ უნდა განახორციელოს წინასწარ

<sup>18</sup> ბავარიის უმაღლესი საოლქო სასამართლო, 4Z Sch 23/02, 2003.

<sup>19</sup> ჩონგ ი ლეონგი, კომენტარები საქმეზე AJT v AJU, სინგაპურის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრი, გვ. 4.

რი მოკვლევა (სრულმასშტაბიანი გამოძიების მოკლე მიმოხილვა), რათა დადგინდეს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას უნდა გამოეცხადოს თუ არა „სრული ნდობა.“<sup>20</sup> უოლერ ელ ჯეის მიაჩნდა, რომ საწყის ეტაპზე სრულმასშტაბიანი გამოძიების ჩატარება არ იყო აუცილებელი, ვინაიდან აღნიშნული „წარმოქმნიდა იმ ბიანს, რომლის თავიდან ასაცილებლადაც იყო არბიტრაჟი განკუთვნილი.“<sup>21</sup> უკანონობის სრულმასშტაბიანი გამოძიება, როგორც მეორე ეტაპი, უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დაასკვნის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას სრული ნდობა უნდა გამოეცხადოს.<sup>22</sup>

ქვემოთ მოტანილია ფაქტორები, რომელიც უნდა განიხილებოდეს პირველ ეტაპზე, რათა განისაზღვროს მეორე ეტაპზე სრულმასშტაბიანი გამოძიების აუცილებლობა. საიედემა შემდეგნაირად აღნიშნა ეს ფაქტორები:

1. კანონიერებისა და უკანონობის ხელმისაწვდომი მტკიცებულებები;
2. ის გზა, რითიც არბიტრმა დაასკვნა უკანონობა;
3. არბიტრის კომპეტენტურობის ხარისხი;
4. არბიტრაჟის განხორციელების გზა. ყურადღებით უნდა შემოწმდეს, გამოტანილი ხომ არ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თაღლითობით, შეთქმულებით ან არაკეთილსინდისიერად.<sup>23</sup>

კონტრაქტების უკანონობის შეფასებისას (ორივე ეტაპზე), უოლერ ელ ჯეიმ ნათელყო, რომ სასამართლოს ჰქონდა ახალი მტკიცებულებების განხილვის თავისუფლებაც; სასამართლოს აგრეთვე, შეუძლია არბიტრაჟის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების განხილვაც. ყოველგვარი მტკიცებულების განხილვის ამგვარი ფართო დისკრეცია წარმოადგენს მაქსიმალური სასამართლო განხილვის სტანდარტებს, როდესაც წინას-

---

<sup>20</sup> ენონონგ ნელსონი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება უკანონო კონტრაქტების საფუძველზე: ლიონის საზღვაო და კომერციული სამართლის კვარტალური გამოცემა, 2000, მე-20, გამოცემა 4, გვ. 506.

<sup>21</sup> ინგლისის სააპელაციო სასამართლო, 97/0882 CMSI, სიონ სოლეიმანი აბნერ სოლეიმანის წინააღმდეგ (Sion Soleimany v Abner Soleimany), 1999, პარაგრაფი 824.

<sup>22</sup> ჩონგ ი ლეონგი, კომენტარები საქმეზე AJT v AJU, სინგაპურის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრი, გვ. 3.

<sup>23</sup> საიედ აბდულაი, კორუფცია საერთაშორისო ვაჭრობასა და კომერციულ არბიტრაჟში, კლუვერის საერთაშორისო სამართალი, ჰააგა, 2004, გვ. 415.

წარი მოკვლევა – პირველ ეტაპზე სრულმასშტაბიანი გამოძიების ნაცვლად – წარმოადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის დასკვნების პატივისცემის ხარისხის დემონსტრირებას. აღნიშნული მინიმალური სასამართლო განხილვის სტანდარტებთან შესაბამისობაშია.<sup>24</sup> შესაბამისად, კონტექსტუალური სასამართლო განხილვის მიდგომას შუალედური პოზიცია უკავია მინიმალური და მაქსიმალური განხილვის სტანდარტებს შორის.

## 2.4. სასამართლო განხილვის სათანადო სტანდარტი

მთავარი საკითხი მოიცავს იმის განსაზღვრას, თუ რომელი ზემოაღნიშნული მიდგომა უკეთ აბალანსებს ორ კონკურენტულ საჯარო პოლიტიკურ მოსაზრებას: ჯილდოს საბოლოობას და კორუფციისათვის ხელის შეშლას საერთაშორისო ვაჭრობაში.

პირველ რიგში, წინამდებარე სტატია განიხილავს მინიმალური სასამართლო განხილვის მიდგომას, რომელიც ასახავს საერთაშორისო არბიტრაჟის პატივისცემის მაღალ ხარისხს და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობას. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვა ემსახურება რიგ ფუნქციებს და, შესაბამისად, აქვს მთელი რიგი უპირატესობები, აგრეთვე უდავოა, რომ მინიმალური სასამართლო განხილვის მიდგომა იზნორირებას უკეთებს ფუნდამენტურ საჯარო პოლიტიკურ სხვა საკითხებს, როგორცაა ამორალური ან/და კორუფციული გარიგებები. ამის საპირისპიროდ, მაქსიმალური სასამართლო განხილვის სტანდარტი ძალიან შორს მიდის და იზნორირებას უკეთებს საჯარო პოლიტიკის მიზნებს, რომლებიც განსაზღვრავენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს. სწორად არის არგუმენტირებული, რომ არბიტრაჟი არ შეიძლება იყოს „საჯარო პოლიტიკის წესების გვერდის ავლის საშუალება.“<sup>25</sup> აქედან გამომდინარე, კონტექსტუალური სასამართლო განხილვა, რომელსაც აქვს შუამავალი პოზიცია, რომ მინიმალური და მაქსიმალური განხილვის სტანდარტები

<sup>24</sup> მაიკლ ვანგი და კევინ ლი, კორუფცია არბიტრაჟში: სამართალი და რეალობა, ჰერბერტ სმიტის აზიის არბიტრაჟში წარმოდგენილი სტატია, 2011 წლის აგვისტო, სინგაპური, იხ. 25-ე სქოლიო, გვ. 66.

<sup>25</sup> ბერნარდ ჰანოტია, მტკიცების ტვირთის დაკმაყოფილება – სამოქალაქო სამართლის იურისტის მოსაზრება, საერთაშორისო არბიტრაჟში 1994, Vol. 10, მე-3 გამოცემა, გვ. 804.

შეიძლება იყოს შესაბამისი გზა დაბალკონკურენტულ მოსაზრებებზე, კონტექსტის გათვალისწინებით. კონტექსტუალური სასამართლო განხილვის გზით, კორუფციისა და სხვა უკანონობის გამოვლენის უფრო მეტი შანსია, მინიმალური სასამართლო განხილვის სტანდარტისგან განსხვავებით. აღნიშნული სტატია ასკვნის, რომ შუალედური მიდგომა საშუალებას მისცემს სასამართლოებს ჩაერიონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ახალი, მაგრამ არა აუცილებლად ახალი (fresh) მტკიცებულება, როგორც ყველაზე სათანადო საშუალება, რათა დააბალანსოს საჯარო პოლიტიკის ორი კონკურენტული მოსაზრება.

### 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით 2003 წლით თარიღდება. პირველი მსგავსი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა 2003 წლის 4 ივლისს.<sup>26</sup> აღნიშნულ საქმეში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოიტანა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლომ და ამ გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამრეწველო და ვაკოტრების საქმეთა პალატამ „კერძო საერთაშორისო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-63-ე მუხლები გამოიყენა, რომელიც ეხება იურიდიულ დახმარებას და ამ პეტციის მინიჭებას. აგრეთვე „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 51(ბ) მუხლი, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და განხორციელებას ეხება. მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვერელი მხა-

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, no. 3ა-102, 2003 წლის 4 ივლისი, სამოქალაქო საქმეთა კრებული, no. 8, 2003, გვ. 213.

რე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობებით აღიარებს და აღასრულებს შემდგომ გადაწყვეტილებებს, გამოტანილს სხვა ხელშემკვერელ მხარეთა ტერიტორიაზე: ა) სამოქალაქო და საოჯახო საქმეთა იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებების, მათ შორის, სასამართლოს მიერ ასეთ საქმეებზე დამტკიცებულ შეთანხმებებს მორიგების შესახებ და ნოტარიულ აქტებს ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით; და ბ) სასამართლო გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ზარალის ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული დებულება ნათლად ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ არასწორად გამოიყენა 51-ე მუხლის პარაგრაფი „ბ“, ვინაიდან საქმე ეხებოდა სამოქალაქო დავაზე საარბიტრაჟო განხილვას. გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის“ 69-ე მუხლის თანახმად. გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ მოდავე მხარეებს წარმოადგენდა ორი იურიდიული პირი, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული საფუძველიც არასწორად იყო გამოყენებული სავარაუდოდ, ტექნიკური უზუსტობის გამო. სასამართლოს მოუწია იგივე კანონის 68-ე მუხლის გამოყენება, რომლის თანახმადაც, მას მოუწია უცხო ქვეყნების გადაწყვეტილებების აღიარების საკითხის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციას უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების თაობაზე საქართველო 1994 წელს მიუერთდა. ნიუ იორკის კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა, უცხო ქვეყნებში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების საკითხების განხილვისას, უნდა გამოიყენონ კონვენციის წესები. თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კონვენცია პირველად, 2005 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებაში გამოიყენა.<sup>27</sup>

ასევე, აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.<sup>28</sup> ეს პირველი გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება 2010 წლის 1 იანვარს ძალაში

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, no. a-2156-sh-63-05, 2005 წლის 16 სექტემბერი, „სამოქალაქო პროცესის“ კრებული, no. 6, 2005, გვ. 74

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, no. a-2652-sh-72-2010, 2011 წლის 31 იანვარი, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული, no. 3, 2012, გვ. 85.

შესულ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს. საკასაციო პალატა, თავის წინამორბედ განჩინებებში უთითებდა მხოლოდ „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონსა და მინსკის კონვენციას. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი არსებობს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნიუ იორკის კონვენციის ხელშემკვერელ მხარეს 1994 წლიდან წარმოადგენს, საკასაციო სასამართლო იყენებს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონსა და მინსკის კონვენციას. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან ხარვეზზე. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, საკასაციო სასამართლო აგრეთვე, უთითებს ნიუ იორკის კონვენციას, თუმცა, სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, დაეყრდნო საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლს. შესაბამისად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მოიცავს ნიუ იორკის კონვენციასა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონზე დაფუძნებულ მსჯელობას მაშინ, როდესაც სარეზოლუციო ნაწილი არასწორად მიუთითებს, რომ სასამართლომ იხელმძღვანელა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონით. აღნიშნული პრობლემას წარმოადგენს სასამართლოსათვის უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხოლოდ ორი გადაწყვეტილება, 2012 წლის 24 თებერვლისა<sup>29</sup> და 2012 წლის 14 თებერვლის,<sup>30</sup> ეხება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დებულება ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან, საკასაციო პალატა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონს იყენებდა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებამდე და მათ შემდგომაც, რაც წარმოად-

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, no. v-56-sh-5-2012, 2012 წლის 24 თებერვალი, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული, no. 3, 2012, გვ. 89.

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, no. a-562-sh-13-2012, 2012 წლის 14 თებერვალი, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული, no. 3, 2012, გვ. 108.



გენს გამოუცდელიობისა და არაპროფესიონალიზმის ნათელ მაგალითს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

2012 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება აგრეთვე, აღსანიშნავია იმის გამო, რომ საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს საარბიტრაჟო განხილვაში სასამართლოს ჩარევის მოცულობას იმის მითითებით, რომ „სასამართლოს არ შეუძლია საქმის არსებითი მხარის განხილვა.“ აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას იყენებს სასამართლო ინტერვენციის მინიმალურ სტანდარტს. ეს უკანასკნელი სასამართლო პატივს სცემს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის მრავალი ასპექტი დაცულია და შესაბამისად, აღნიშნულ პრინციპს აქვს ბევრი უპირატესობა – უდავოა, რომ ინტერვენციის მინიმალური სტანდარტი უარყოფს საზოგადოებრივი წესრიგის სხვა ფუნდამენტურ პრინციპებს; მაგალითად, კორუფციული შეთანხმებების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს.

## 4. დასკვნა

---

წინამდებარე სტატიის ძირითადი თემა იყო შეუსაბამობის ჩვენება საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობაში კორუფციის გაუქმებასა და ამგვარ გაუქმებაზე მუდმივ წინააღმდეგობას შორის. კორუფცია ეწინააღმდეგება საჯარო პოლიტიკის ძირითად მიზნებს ყველა ცივილიზებულ ერში; შესაბამისად, ის საერთაშორისო დონეზე დაგმობილია და გამოცხადებულია გაუქმებულად. ერთი შეხედვით, ამგვარი დაგმობა განმტკიცებულია საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკით. თუმცა, წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალები და ეროვნული სასამართლოები ხშირად იყენებენ განსხვავებულ მიდგომებს, როდესაც განიხილავენ კორუფციის შემცველ საქმეებს. აღნიშნული სტატია მოიცავს იმის განმარტებას, თუ რატომ არ არსებობს ერთგვაროვნება დავების საერთაშორისო გადაწყვეტის პრაქტიკაში, საჯარო პოლიტიკის დაცვის გამოყენე-

ბაზე, როგორც კორუფციის ბრალდებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძვლია.

ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი, რომელიც გაანალიზებულია ამ დოკუმენტში, არის ის, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული მიდგომები, რომლებიც ეხება კანონისა და ფაქტის საარბიტრაჟო დასკვნების სასამართლო განხილვის მოცულობას, იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ ისინი განაპირობებენ სასამართლოს განსხვავებულ გადაწყვეტილებებს, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონე საქმეებზეც კი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებების განხილვა ცხადყოფს, რომ საკასაციო სასამართლო მიმართავს სასამართლო ინტერვენციის მინიმალურ სტანდარტს ანუ სწავლობს და იკვლევს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელთაც გავლენა იქონიეს გადაწყვეტილებაზე, რაც საერთაშორისო არბიტრაჟში კორუფციით გამოწვეული დაბრკოლებების შესამცირებლად არასაკმარისია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცხადყოფს, რომ სასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობა განახლდა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე საარბიტრაჟო პრაქტიკის მიდგომების შესაბამისად, ფაქტია, რომ კვლავ ბევრი პრობლემა რჩება უცხოური არბიტრაჟის აღიარებისა და აღსრულების თვალსაზრისით.

წინამდებარე სტატია მოიცავს საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ზოგიერთი ზემოაღნიშნული სადავო საკითხის შესახებ გადაწყვეტას. თუმცა, კვლავ რჩება კითხვები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გადასინჯვასთან დაკავშირებით. უდავოა, რომ აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა იურისდიქციების ჰარმონიზება შეამცირებს კორუფციის საქმეებზე საერთაშორისო დავების მოგვარების პრაქტიკაში არსებულ შეუსაბამობებს.

# ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ქართული და ევროპული სამართლის მიხედვით

## 1. შესავალი

წინამდებარე სტატია ეხება ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების განსაზღვრას. სტატიის ძირითადი მიზანია ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შინაარსის, მხარეებისა და მისი დადების ადგილის განხილვა, რათა მოხდეს ქართული სამეცნიერო დოქტრინის ამ კუთხით განვითარება; შესწავლილ იქნას ქართული სამომხმარებლო ბაზარი და მოხდეს მომხმარებელთა უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა; ასევე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ევროპული და ქართული საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა და ამ უკანასკნელის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს ქართულ სამართალში. ის სამოქალაქო სამართლის ნაწილი 1997 წელს გახდა, როდესაც ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში სსკ).

\* იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე სამყაროს უამრავ ქვეყანაში – ის სამომხმარებლო სამართალთან მჭიდრო კავშირში მყოფი ხელშეკრულებაა. სამომხმარებლო ბაზრის სამოქმედო არეალის მრავალფეროვნება და „არასახელშეკრულებო გარემოში“ ხელშეკრულების დადება, არცთუ ისე იშვიათია 21-ე საუკუნეში. თანამედროვე საქართველოშიც, მრავლად ხდება მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების დადება, თუმცა იმის გამო, რომ საკითხის სამართლებრივი რეგულაცია პრაქტიკულად არ არსებობს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი გარანტიის შექმნაც ამ თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, სსკ-ში უკვე საკმაოდ დიდი ხანია მოწესრიგებულია, ამ მუხლის პრაქტიკაში გამოყენება ქართულ სამართლებრივ რეალობაში არ ხდება, რაც დაკავშირებულია ნორმის შემადგენლობის ბუნდოვანებასთან. ბუნდოვანია, როგორც ამ ტიპის ხელშეკრულებების ცნება, დადების ადგილი, ასევე მხარეები და მათი უფლება-მოვალეობები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 1996 წლის საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, 2012 წლის 8 მაისს ძალადაკარგულად გამოცხადდა. შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, საქართველოში კანონმდებლობა პრაქტიკულად არ არსებობს.

## 2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულაცია

---

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების განხილვისას, აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს არა მარტო ქართველი კანონმდებლის მიერ მათ განსაზღვრაზე, არამედ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ევროპული სამართლის ქვეყნების გამოცდილება და მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გერმანულ სამართალს, რადგან ქართული სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის

ნორმათა უმრავლესობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands – BGB; შემდგომში – გსკ) მოდელის მიხედვით შეიქმნა. ნორმათა უმრავლესობა სწორედ გსკ-სა და სხვა გერმანული კანონებიდან იქნა იმპლემენტირებული.<sup>1</sup>

ევროპულ კანონმდებლობაზე აქცენტი კეთდება ქვეყნის საგარეო კურსიდან გამომდინარე და ასევე, იმ ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, რაც საქართველოს 2014 წლიდან გააჩნია.<sup>2</sup> კერძოდ, 2014 წლის ივნისის თვეში, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის (შემდგომში – ასოცირების შესახებ შეთანხმება), ქართულმა მხარემ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები, მათ შორის, ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფა. შეთანხმების დარგობრივი თანამშრომლობის ნაწილი, კერძოდ მე-6 კარის მე-13 თავი (Consumer Policies) (345-347 მუხლები) მოიცავს მომხმარებელთა პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. 345-347-ე მუხლების მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი გარანტიის შექმნა და განახორციელოს საფუძვლიანი საკანონმდებლო ცვლილებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პარლამენტის ევროპასთან ინტეგრირების კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (შემდგომში – კანონპროექტი), რომლის ძირითადი ამოცანაა საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობის შექმნა და ამ კუთხით ევროპული ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება.

თითოეული ჩვენგანი მომხმარებელია და აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ნებისმიერი სამართლებრივი სახელმ-

<sup>1</sup> ჭეჭელაშვილი ზ. „სახელმწიფოებო სამართალი“, თბილისი 2010, გვ. 10.

<sup>2</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, იხ.: [http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge\\_aa-dcfta\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf)

წიფოს უმთავრესი ამოცანაა. ევროპული სამართლის ქვეყნებისთვის აპრიორია მომხმარებელზე ორიენტირებული კანონმდებლობის შექმნა, რადგან თანამედროვე სამართალი პიროვნების უზენაესობას აღიარებს, ხოლო პიროვნების უზენაესობის განმსაზღვრელი ფაქტორი მისი უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალური ეფექტურობით რეალიზებაა.

აღსანიშნავია, რომ პირველად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდა არაკომერციული დაწესებულებების ფარგლებს გარეთ მიღწეული მოლაპარაკების გზით დადებული ხელშეკრულების დროს (ქართული სამართლის მიხედვით – ქუჩაში დადებული ხელშეკრულება) მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპული საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის 85/577 დირექტივაში (Council Directive 85/577 EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises).<sup>3</sup> მოგვიანებით, ზემოაღნიშნულ დირექტივას დაემატა კიდევ ერთი – დისტანციური ხელშეკრულებების დროს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7/EC დირექტივა (Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts),<sup>4</sup> რომელიც ერთგვარად ავსებდა მის წინამორბედს.

თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და სამომხმარებლო ბაზრის არეალის გაფართოებამ შედარებით ახალი რეგულაციების შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. აქედან გამომდინარე, ევროპარლამენტმა შეიმუშავა ახალი დირექტივა და დღეის მდგომარეობით, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ევროპული სამართლის ქვეყნების უმრავლესობა არეგულირებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპუ-

<sup>3</sup> Council Directive 85/577 EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises. იხ.: ბმულზე: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:en:HTML>

<sup>4</sup> Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts იხ.: ბმულზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:31997L0007&from=en>

ლი საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივით (Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, შემდგომში დირექტივა).<sup>5</sup>

ახალი დირექტივის მიზანი იყო, უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე, მოეხდინა იმ ხარვეზების და შეუსაბამობების აღმოფხვრა, რაც არსებობდა. ამასთან, დირექტივამ დაამკვიდრა ზოგადი წესები დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რაც საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ერთგვარ შესაბამისობაში მოიყვანონ დირექტივასთან და ამით უზრუნველყონ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი გარანტი.

### 3. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეები

---

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი – მისი მხარეებია. სსკ-ის 336-ე მუხლის მიხედვით, მხარეებს წარმოადგენენ „მომხმარებელი“ და „საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი.“<sup>6</sup>

---

<sup>5</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council. [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L\\_.2011.304.01.0064.01.ENG](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L_.2011.304.01.0064.01.ENG)

<sup>6</sup> მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე.



საქართველოს 1996 წლის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავდა როგორც ფიზიკურ პირს, რომელიც პირადი საჭიროებისათვის საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას) იყენებდა, იძენდა, უკვეთავდა ან ასეთი განზრახვა ჰქონდა. მომხმარებლის განმარტებას ასევე, შეიცავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილება, რომლის მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტის მიხედვით, მომხმარებელი არის პირი, რომელიც საკუთარი მოხმარებისთვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებელზე. იურიდიული ენციკლოპედიის მიხედვით კი, მომხმარებელი არის მოქალაქე, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეუკვეთოს რაიმე, საქონლის, მომსახურების შემძენი, შემკვეთი ან გამოიყენებელი პირადი ან ოჯახური და სხვა საჭიროებისთვის, რაც არ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას.<sup>7</sup>

სამწუხაროდ, თუ რა იგულისხმება ტერმინში: „საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი,“ ამას ზემოაღნიშნული კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ არ განმარტავდა. სავარაუდოდ, მასში სწორედაც რომ მეწარმე (მოვაჭრე) სუბიექტი მოიაზრება. ამასთან, საკამათოა ტერმინში „პირი“ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური პირი, თუ მასში უნდა მოვიაზროთ ასევე, იურიდიული პირიც. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული.

ქართული კანონპროექტი კი, უკვე ხაზგასმით, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეებად მოიაზრებს „მომხმარებელსა“ და „მოვაჭრეს“.<sup>8</sup> კერძოდ, მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების და არა მისი სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით. ხოლო, „მოვაჭ-

<sup>7</sup> თებელაშვილი ს., იურიდიული ენციკლოპედია, თბილისი 2008, 373.

<sup>8</sup> „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (კანონპროექტი) იხ.: ბმულზე <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120599>

რე,“ ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, არის სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში საქონლის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე, მომსახურების გამწვევი ფიზიკური ან იურიდიული პირი. დღეს არსებული ნორმისგან განსხვავებით, კანონპროექტი უკვე მხარეთა დეტალურ დეფინიციას შეიცავს.

ქართველი კანონმდებლისგან განსხვავებით, საკმაოდ კონკრეტულ განმარტებას ახდენს გერმანელი კანონმდებელი, რომელიც მხარეებად მოიაზრებს მომხმარებელსა და მეწარმეს. გსკ-ის მე-13 პარაგრაფის მიხედვით, მომხმარებელი (Verbraucher) არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც გარიგებას დებს იმ მიზნით, რაც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო და პროფესიულ საქმიანობას<sup>9</sup> და მე-14 პარაგრაფის მიხედვით, მეწარმე (Unternehmer) არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა უფლებუარნიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამეწარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.<sup>10</sup>

ღირექტივის მიხედვით კი, ამ ტიპის ხელშეკრულების მხარეები არიან მომხმარებელი (Consumer) და მოვაჭრე (Trader). ღირექტივის მე-2 მუხლის მიხედვით, მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ამ ღირექტივით გათვალისწინებულ ურთიერთობებში მოქმედებს იმ მიზნებისთვის, რომელიც არის მისი ვაჭრობის, საწარმოს, საქმიანობისა და პროფესიის ფარგლებს გარეთ. ხოლო მოვაჭრე არის ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის კერძო, თუ საჯარო სამართლის პირს, რომელიც მოქმედებს მათ შორის, სხვა პირის მეშვეობით, როგორც თავისი სახელით, ასევე მისი დავალებით, რომელიც წარმოადგენს მისი ვაჭრობის, საწარმოს, საქმიანობისა და პრო-

<sup>9</sup> § 13 BGB – Verbraucher ist jede natürliche Person, die ein Rechtsgeschäft zu einem Zwecke abschließt, der weder ihrer gewerblichen noch ihrer selbständigen beruflichen Tätigkeit zugerechnet werden kann.

<sup>10</sup> § 14 BGB – (1) Unternehmer ist eine natürliche oder juristische Person oder eine rechtsfähige Personengesellschaft, die bei Abschluss eines Rechtsgeschäfts in Ausübung ihrer gewerblichen oder selbständigen beruflichen Tätigkeit handelt. (2) Eine rechtsfähige Personengesellschaft ist eine Personengesellschaft, die mit der Fähigkeit ausgestattet ist, Rechte zu erwerben und Verbindlichkeiten einzugehen.

ფესიის ფარგლებს, იმ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებზეც ვრცელდება ზემოაღნიშნული დირექტივა.

მართალია, ტერმინოლოგიურ მხარეს დიდი შინაარსობრივი დატვირთვა ამ შემთხვევაში ნაკლებად აქვს, მაგრამ უპრიანი იქნებოდა, ქართულ კანონმდებელს პირდაპირ და გარკვევით მიეთითებინა ხელშეკრულების მხარეები და შესაბამისად, მოეხდინა მათი განმარტება. ბუნდოვანი ტერმინები ხომ ყოველთვის საეჭვო დამოკიდებულების „მსხვერპლია.“

## 4. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების ადგილი

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მისი დადება ხდება „არასახელშეკრულებო გარემოში“, ისეთ ადგილას, სადაც ადამიანი მიზნად არ ისახავს ხელშეკრულების დადებას და ეს მოულოდნელად ხდება. სწორედ „მოულოდნელობის ეფექტს“ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ტიპის ხელშეკრულებების დროს. „ამგვარი ხელშეკრულებები, როგორც წესი, შემთხვევით იდება ისე, რომ მომხმარებელი წინასწარ არ არის მზად მათთვის; მას არ აქვს სრული წარმოდგენა დასადებ ხელშეკრულებაზე, ინფორმაცია საბაზრო ფასების თაობაზე.“<sup>11</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არასრული ინფორმირებულობისა, მომხმარებელს მაინც იზიდავს მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები, ის „განიცდის თვითკმაყოფილებას, როდესაც მისდამი გამოვლენილია ინდივიდუალური ყურადღება, განსაკუთრებით სახლში ვიზიტისას.“<sup>12</sup>

სსკ-ის 336-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების დადების ადგილი შეიძლება იყოს: „ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში,“ რაც „გან-

<sup>11</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი 2001, 150.

<sup>12</sup> ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ – სპეციალური გამოცემა, თბილისი 2007, 134.

მარტებს მოითხოვს, რადგანაც ქუჩის, პირდაპირი მნიშვნელობით, გაგებამ შეიძლება ბევრი გაუგებრობა გამოიწვიოს.“ შესაძლოა ნივთების გამოფენა-გაყიდვა ორგანიზებული იყოს ქუჩაში, სახლის წინ და ა.შ. ამ დროს რაიმე ნივთის შექმნა ადგილმდებარეობის გამო ნამდვილად წარმოადგენს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას, მაგრამ ის ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 336-ე მუხლით, რადგან ამ დროს მომხმარებელი მზად იყო ხელშეკრულების დასადებად. ტერმინი „საკუთარი სარეწი“ ზოგადად, მომსახურების გამწევი პირის, ან საქონლის მიმწოდებლის მუდმივ ადგილსამყოფელად მიიჩნევა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს კონკრეტულ ადგილზე არსებული სარეწის მუდმივ ადგილსამყოფელს.

კანონპროექტის მიხედვით კი, ხელშეკრულება ითვლება ქუჩაში დადებულად, თუ ის იდება მოვაჭრის სარეწის (სამეწარმეო საქმიანობის ადგილი) ფარგლებს გარეთ და მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას, ასევე, რომელიც იდება მოვაჭრის სარეწის ფარგლებში ან დისტანციურად, მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა აღნიშნულის თაობაზე პირადად და ინდივიდუალურად შეთავაზება მიიღო მოვაჭრის სარეწის ფარგლებს გარეთ.

სამწუხაროდ, გემოხსენებული ნორმის ქართული ანალოგი არ შეიცავს დეტალურ დეფინიციას ხელშეკრულების დადების ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მეცნიერული თვალსაზრისითაც, აღნიშნული საკითხი შესწავლილი არ არის. მხოლოდ სსკ-ის კომენტარშია განხილული სამი შემთხვევა, რომელიც განმარტავს, თუ რა იგულისხმება 336-ე მუხლში, ხელშეკრულების დადების ადგილში.<sup>13</sup> მომხმარებელს კი, საკმაოდ აბნევს ნორმის ბუნდოვანი შემადგენლობა და სათაური. ეს ყველაფერი თავის მხრივ, საკმაოდ ართულებს პრაქტიკაში გემოაღნიშნული ნორმის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, ქართულ რეალობაში ამ მუხლის გამოყენება ფაქტიურად არ ხდება.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დეტალურ დეფინიციასა და ამ ტიპის ხელშეკრულების დადების ადგილს განმარტავს დირექტივა, რომლის

---

<sup>13</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი 2001, 151-153.

მიხედვით, საქმიანობის ფარგლებს გარეთ (ქუჩაში დადებული ხელშეკრულება) დადებული ხელშეკრულება უნდა განიმარტოს, როგორც მომხმარებლისა და მეწარმის ერთად ყოფნის დროს მათ შორის დადებულ ხელშეკრულებად, ისეთ ადგილას, რომელიც არ წარმოადგენს მეწარმის კომერციული საქმიანობის განხორციელების ადგილს და შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, მომხმარებლის საცხოვრებელ და სამუშაო ადგილს. ამ ტიპის ხელშეკრულების დეფინიციაში, ასევე უნდა იგულისხმებოდეს ის სიტუაცია, როდესაც მომხმარებელმა შეთავაზება ხელშეკრულების დადების თაობაზე მიიღო პირადად და ინდივიდუალურად არასახელშეკრულებო გარემოში, მაგრამ ხელშეკრულების დადება მოხდა ამის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მეწარმის კომერციული საქმიანობის ფარგლებში ან მხარეთა დაუსწრებლად დისტანციური კომუნიკაციების საშუალებით. ამ მუხლის დეფინიცია არ უნდა მოიცავდეს სიტუაციებს, რომლის დროსაც მეწარმე თავდაპირველად მიდის მომხმარებლის სახლში, რათა გაუწიოს კონსულტაცია, წარუდგინოს ხარჯთაღრიცხვა ან განახორციელოს აზომვითი საქმიანობა და მხოლოდ ამის შემდეგ, დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულება დაიდოს მეწარმის კომერციული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით. ამ შემთხვევებში, ხელშეკრულება არ ითვლება დაუყოვნებლივ დადებულად, რადგან მომხმარებელს ჰქონდა საკმარისი დრო ხელშეკრულების დადებაზე, რათა გაეაზრებინა მეწარმის მიერ წარმოდგენილი შეფასება.<sup>14</sup> საქმიანობის ფარგლებს გარეთ (ქუჩაში დადებული ხელშეკრულება) დადებულ ხელშეკრულებებში ასევე, მოიაზრება ის შენაძენები, რომელსაც მომხმარებელი ახორციელებს მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსიების დროს, როდესაც ხდება პროდუქციის გასაყიდად შეთავაზება.

---

<sup>14</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council. Preamble (21) 304/67. [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3A0J.L\\_.2011.304.01.0064.01.ENG](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3A0J.L_.2011.304.01.0064.01.ENG)

გერმანულ კანონმდებლობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 13 ივნისიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით,<sup>15</sup> რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებში. გერმანელმა კანონმდებელმა სრულად გაიზიარა ევროპელი კანონმდებლის მიერ შემუშავებული დირექტივა და პრაქტიკულად, სრულად მოახდინა მისი რეცეფცია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.<sup>16</sup> შეიცვალა ამ ტიპის ხელშეკრულების სახელწოდება, რომლის მიხედვითაც ქართულ სამართალში დამკვიდრდა ტერმინი – ქუჩაში დადებული ხელშეკრულება. კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვით, მას ერქვა *Haustürgeschäft* – შემოსასვლელ კართან დადებული ხელშეკრულება, დღეს მოქმედი რეგულაციებით კი, მას უკვე *Außerhalb von Geschäftsräumen geschlossene Verträge* – სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულებების სახელით მოიხსენიებენ, როგორც მის ევროპულ ანალოგს – *Off-premises contracts*.<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულება სსკ-ში უკვე საკმაოდ დიდი ხანია მოწესრიგებულია, ამ მუხლის პრაქტიკაში გამოყენება ქართულ სამართლებრივ რეალობაში არ ხდება, რაც დაკავშირებულია ნორმის შემადგენლობის ბუნდოვანებასთან. ბუნდოვანია, როგორც ამ ტიპის ხელშეკრულებების დადების ადგილი, ასევე მხარეთა უფლება-მოვალეობები და მათი ურთიერთობის სამართლებრივი შედეგები. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დადებითად შეფასდება, თუ ქართველი კანონმდებელი გაითვალისწინებს უკვე არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების სახელთან მიმართებაში, გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, ნორმის სახელწოდების ცვლილების შესაძლებლობასაც განიხილავს, მა-

<sup>15</sup> Gesetz zur Umsetzung der Verbraucherrechtlichlinie und zur Änderung des Gesetzes zur Regelung der Wohnungsvermittlung (VerbrRRLUG). იხ.: ბმულზე: <http://www.buzer.de/gesetz/10934/index.htm>.

<sup>16</sup> Prütting/Wegen/Weinreich/Stürner §312 Rn. 1.

<sup>17</sup> German Civil Code in English იხ.: ბმულზე: [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_bgb/englisch\\_bgb.html#p1070](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p1070)

გალითად, „არასახელშეკრულებო გარემოში დადებული ხელშეკრულება“<sup>18</sup> ან „მეწარმის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულება“, როგორც ეს ღირეექტივის მიხედვით არის დადგენილი. აღნიშნული ხელს შეუწყობს ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრას, რათა ის პრაქტიკაში უფრო აპრობირებადი გახდეს.

## 5. დასკვნა

სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა ნებისმიერი ტიპის ურთიერთობებში. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს, მომხმარებელი უფრო ნაკლებად დაცული მხარეა. შესაბამისად, ქართველი კანონმდებელი სამართლებრივ აქტებში თავდაცვითი მექანიზმების იმპლემენტირებით ცდილობს უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების, როგორც ამ ურთიერთობის მონაწილე „სუსტი“ მხარის დაცვა. წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხები, საშუალებას იძლევა შემუშავდეს გარკვეული ტიპის რეკომენდაციები. კერძოდ:

1. აუცილებელია განისაზღვროს ხელშეკრულების დადების ადგილი. კერძოდ, დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება სსკ-ის 336-ე მუხლში აღნიშნულ „ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში“ დადებულ ხელშეკრულებაში. იმისათვის, რომ ნორმის მიზანი მიღწეულ იქნას, აუცი-

<sup>18</sup> ტერმინი „არასახელშეკრულებო გარემო“ ერთგვარი ნოვაციაა ქართულ სამართალში. მასში იგულისხმება ყველა ის ადგილი, სადაც მომხმარებელი არ ელის ხელშეკრულების დადებას, არ არის მზად სახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის, არ აქვს საკმარისი ინფორმაცია და მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გათვალისწინებით ხდება ასეთი ურთიერთობის მონაწილე. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი მახასიათებელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ ხელშეკრულების დადება ხდება ისეთ ადგილას, სადაც მომხმარებელი საერთოდ არ იყო მზად მის დასადებად. „არასახელშეკრულებო გარემო“ თავისი არსით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“, რომელიც ხელშეკრულების დადების არეალს, სახელწოდებიდან გამომდინარე, ერთგვარად ზღუდავს.



ლებელია მათი განმარტება. მომხმარებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რა ადგილას დადებული ხელშეკრულების დროს აქვს მას უფლება უარი თქვას მასზე, სათანადოდ დადგენილ ვადაში.

2. დადებითად შეფასდება, თუ ხელშეკრულების დასახელება: „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“ შეიცვლება უკვე არსებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით.
3. საკმაოდ მნიშვნელოვანია დაიხვეწოს ხელშეკრულების მხარეთა განმსაზღვრელი ტერმინები. განსაკუთრებით, აუცილებელია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება ტერმინში – „საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი.“

აღსანიშნავია, რომ ნორმის ბუნდოვანების გამო, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს არცერთ გადაწყვეტილებას ქუჩაში დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით. სსკ-ის 336-ე მუხლის დღეს არსებული მუხლი ე.წ. „მკვდარი ნორმა“, რომლის პრაქტიკაში გამოყენება შინაარსის ხარვეზის გამო, არ ხდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი კანონმდებლის მცდელობა, დაიცვას მომხმარებელთა უფლებები, ძალზედ მნიშვნელოვანია და მისი დახვეწის შემთხვევაში ეჭვგარეშეა, რომ ის საკმაოდ გამოყენებადი იქნება სამომხმარებლო ბაზარზე. ამ ნორმის მთავარი მიზანი ხომ მომხმარებლის „სუსტი მხარის“ უფლებების დაცვაა.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს როგორც მომხმარებლის, ისე მისი კონტრაჰენტის უფლებებისა და ინტერესების უკეთ რეალიზებას. თითოეული ადამიანის ინტერესებზე ორიენტირებული კანონმდებლობის შექმნა და მათი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა ხომ ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა.



